მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ (ᲢᲔᲑᲔᲗᲘ) №1 (400) (5776) 2015

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

უკვე ჩავლილი 2014 წლის 29 დეკემბერს ისრაელის ცენტრალურმა სტატისტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც უკავშირდება წლის დასასრულს.

ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, დღეს ისრაელში ცხოვრობს რვა მილიონ 296 000 ადამიანი. აქედან 74.9% ებრაელია, 20.7% არაბი, 4.3% სხვადასხვა ეროვნების. 2014 წელს ისრაელში 176 600 ბავშვი დაიბადა, სამუდამოდ საცხოვრებლად ქვეყანაში ჩამოვიდა 23 ათასი ადამიანი. ერთი წლის განმავლობაში ისრაელის მოსახლეობა 162 ათასი ადამიანით, ანუ 2%-ით გაიზარდა.

ხაზს უსვამენ იმას, რომ შარშან, ამ დროს ისრაელის მოსახლეობა გახლდათ რვა მილიონ 132 ათასი ადამიანი, აქედან ებრაელი იყო 75.2%, არაბი — 20.6% და 4.2% სხვადასხვა.

რედაქციისაგან: თუ შარშან ამ დროს ისრაელის ებრაული მოსახლეობა გახლდათ საერთო მაჩვენებლის 75.2%, არაბული მოსახლეობა კი 20.6%, წელს ებრაელობა არის 74.9%, არაბობა — 20.7%, ამასთან შემცირდა სხვადასხვა ერების რაოდენობა. ქვეყნის მოსახლეობა კი გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს რომ მატების მაჩვენებელი არაბების ხარჯზე მოდის. ეს საკმაოდ საყურადღებო სიგნალია.

„ᲚᲘᲙᲣᲓᲘ“ ᲓᲐ „ᲐᲕᲝᲓᲐ“ 24-24 ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ

როგორც ცნობილია, მარტში ისრაელში ტარდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ისრაელის ტელევიზიის მეორე არხის დაკვეთით ინსტიტუტ „მიგდამის“მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ქნესეთის არჩევნები დღეს (29 დეკემბერს)რომ ტარდებოდეს, მანდატები ასე განაწილდება: „ლიკუდი“ მიიღებს 24 მანდატს, „ავოდა“ ასევე— 24 მანდატს. ქნესეთში 16 ადგილს მიიღებდა პარტია „ბეით იეჰუდი“, ხოლო პარტია „ეშ ათიდი“ 9 ადგილს. ავიგდორ ლიბერმანის პარტიას „ისრაელ ბეითიენუ“ მხოლოდ 8 მანდატის იმედი უნდა ჰქონდეს, „იადუთ ჰა თორას“ — 7 მანდატის, „შასს“—6.

სიოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2 იანვარს ჩატარებული გამოკითხვის შედეგი კი ასეთია: ქნესეთის არჩევნები რომ დღეს ტარდებოდეს, „ლიკუდი“ მიიღებდა 26 მანდატს, „ავოდა-თნუას“ ბლოკი მხოლოდ 23 მანდატს უნდა დასჯერდესო. ამომრჩეველთა შორის პოპულარობის მხრივ კვლავ მესამე ადგილზეა „ებრაული სახლი“. იგი პარლამენტში 16 სავარძელს დაიკავებს. სხვა პარტიები ასე გამოიყურებიან:

არაბული პარტიები-11 მანდატი,
ეშ ათიდი — 9 მანდატი,
ქულანუ — 8 მანდატი,
იაადუთ ჰა თორა — 7 მანდატი,
მერეცი — 7,
შასი — 6.

კითხვაზე, თუ რომელიც კანდიდატი მიიჩნევა ყველაზე უფრო შესაფერისად პრემიერ-მინისტრის პოსტზე, გამოკითხელთა 40 პროცენტი ბინიამინ ნეთანიაჰუს ამჯობინებს, 24.3% იცხაკ ჰერცოგს აძლევს უპირატესობას, 6.3% ნაფტალი ბენეტს, ავიგდორ ლიბერმანს გამოკითხულთა — 3.2%.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲘᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ხანუქის ბოლო დღეებში რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქ სანქტ-პეტერბურგში გაიმართა სადღესასწაულო ღონისძიებები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქალაქში 25 წლის წინათ აღსდგა ხანუქის დღესასწაულის საჯაროდ აღნიშვნის ტრადიცია. ეს წამოწყება ეკუთვნის ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ცნობილ ბიზნესმენსა და ფილანტროფს მიხეილ მირელაშვილს. ამ 25 წლის განმავლობაში იგი გახლდათ ხანუქის აღნიშვნის, სხვა სერიოზულ ებრაულ ღონისძიებათა სულისჩამდგმელი. მიხეილ (მიხო) მირელაშვილს ცხოვრების ურთულეს წლებშიც კი არ უთქვამს უარი ებრაულ მოღვაწეობაზე და ქალაქში ებრაელობას ებრაული დღესასწაულების არსს აზიარებდა.

ამჯერად დღესასწაულის ცენტრალური ღონისძიება გახლდათ მიხაილოვის თეატრში ჩატარებული საღამო, რომელშიც მიხეილ მირილაშვილის მოწვევით მონაწილეობდნენ ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი — შიმონ პერესი, მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტი — რონალდ ლაუდერი, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი იულიუს მაინლი, ისრაელის სეფარადთა მთავარი რაბინი — იცხაკ იოსეფი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში — დორით გელენდერი, მსოფლიოს ებრაული კონგრესის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ზინგერი, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური მდივანი მიხეილ ჩლენოვი და სხვ.

სანქტ-პეტერბურგის ხელისუფლების სახელით სტუმრებს მიმართა ქალაქის საკანონმდებლო კრების თავმჯდომარემ ვიაჩესლავ მაკაროვმა.

ის სისხლისღვრა, რაც იანვრის დაძღეგს პარიზში მოხდა,
ისრაელისათვის ლაძის ყოველდღეურობად აქციეს.
ისრაელის საპასუხო – თავდაცვით – ღონისძიებებს ევროკავშირის
ზოგიერთი ქვეყანა ისრაელის კრიტიკითა და ეკონომიკური,
თუ სხვა სახის ემბარგოთი პასუხობს.
იქნებ, დღეს, როცა ტერორმა მათს კარზე დააკაკუნა,
რეალურად შეაფასონ მოვლენები?

(მე-2 გვერდი) ►►►

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

რეზოლუციამ ჩაილურის წყალი დალია?

30 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში გაიმართა პალესტინის ავტონომიის თხოვნით იორდანიის მიერ წარდგენილი რეზოლუციის კენჭისყრა. ეს გახლდათ ანტიისრაელური რეზოლუცია, რომელიც ისრაელს აიძულებდა დაბრუნებოდა 1967 წლის საზღვრებს ე.ი. ისრაელს გაეყვანა ჯარი იუდეისა და სამარიის ტერიტორიიდან, რაც განაპირობებდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. კენჭისყრამდე რამდენიმე დღით ადრე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ თუ რეზოლუცია უშიშროების საბჭოს მოწონებას ჰპოვებდა და უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოები მას მხარს დაუჭერდნენ, ვეტოს დაადებდა—ძალაში შესვლის უფლებას არ მისცემდა. ამას რუსეთში ფედერაციაში პალესტინის ავტონომიის ელჩმა ფაედ მუსტაფამ მუქარით უპასუხა:

—თუ აშშ რეზოლუციას ვეტოს დაადებს, ჩვენ გადავხედავთ ისრაელთან ურთიერთობას უშიშროებისა და ეკონომიკის კუთხით.

მაგრამ ამერიკელებს ვეტოს დადება არ მოუწიათ—უშიშროების საბჭოს 15 წევრი სახელმწიფოდან რეზოლუციას მხარი დაუჭირა მხოლოდ რვა სახელმწიფომ (საჭირო იყო ცხრა ხმის მოგროვება). ამრიგად, რეზოლუცია არ დამტკიცდა.

იორდანიის მიერ წარმოდგენილ პროექტს მხარი დაუჭირეს: რუსეთმა, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა, ჩინეთმა, არგენტინამ, ჩადიმ, ჩილემ, იორდანიამ. წინააღმდეგი იყო: ავსტრალია, აშშ. თავი შეიკავა: ლიტვამ, ნიგერიამ, რუანდამ, სამხრეთ კორეამ, დიდმა ბრიტანეთმა.

4 იანვარს მაჰმუდ აბასმა გამოაცხადა, რომ პალესტინის ავტონომია გაეროს უშიშროების საბჭოში კვლავ დასვამს საკითხს, ე.ი. კვლავ შეიტანს რეზოლუციის პროექტს, რომელიც დამტკიცების შემთხვევაში ბოლოს მოუღებს ისრაელის ოკუპაციას და შესაძლებელს გახდის გამოცხადდეს პალესტინის სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იქნება აღმოსავლეთ იერუსალიმიო. აბუ მაზანმა, იგივე აჰმუდ აბასმა დაავალა პალესტინის საგარეო საქმეთა მინისტრს გაეროს უშიშროების საბჭოში, შეხვდეს იმ ქვეყნების წარმომადგენლებს რომლებმაც ხმის მიცემისას თავი შეიკავეს, ან წინააღმდეგნი იყვნენ რეზოლუციისა და გაარკვიონ, თუ რატომ არიან ისინი პალესტინის ავტონომიის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგნი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 31 დეკემბერს გამოხატა გულისტკივილი იმის გამო, რომ ანტიისრაელურმა რეზოლუციამ—პალესტინის სახელმწიფოს შექმნის იდეამ, გაეროს უშიშროების საბჭოში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა— რეზოლუცია ვერ გავიდა:

—შეუძლებელია გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ უშიშროების საბჭოში რეზოლუციამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

რუსულ სოციალურ ქსელში დიდი ხმაური გამოიწვია პალესტინის ავტონომიის ელჩისა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებამ. გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას:

***მაია აგაევა**: რუსეთო, მითხარი, ვინ არის შენი ამხანაგი. როგორც ჩანს, უზენაესი ტყუილ-უბრალოდ არ გვიგ ზავნის ასეთ მძიმე განსაცდელს. არადა, რუსი ხალხია საბრალო!*

***ბენიამინ გელმანი**: ეს, ისლამური სამყაროს ნამცეცა, ე.წ. პალესტინის ავტონომია, ისრაელის სახელმწიფოს ემუქრება კიდეც. რუსეთის მმართველები კი, ოღონდაც ამერიკას ვავნოთო, მზად არიან საკუთარ დედასაც კი შეაგინონ.*

***ლეონიდ ხოროშევსკი**: გელმანო, ეს პალესტინის ავტონომია, ისლამური სამყაროს ნამცეცი კი არა, ფაღარათია.*

***ბენიამინ გელმანი**: თუ ფაღარათია, კოვზით მიირთვან!*

***ვიტალი პონომარიოვი**: ერთი რამ ვერ გამიგია: საიდან მოიტანეთ— რის ელჩი, რის სახელმწიფო, სად გაგონილა, რაზე ლაპარაკობთ! მოსკოვი მზად არის ნებისმიერი ბითურობას დაარქვას ელჩი, ხელმწიფე, და კიდევ ათასი ოხრობა, ოღონდ თავი აჩვენოს, თითქოს რამეს წარმოადგენდეს.*

***ლეონიდ ხოროშევსკი**: ეს არარსებული ერის გამოგ ზავნილი იმასაც კი ბედავს, თავისი აყროლებული ბანდიტური პირი გააღოს და ისრაელს დაემუქროს?! სუკ-ის ნაბუშარი ვერასოდეს ვერ გახდება ხალხი და ვერავითარ სახელმწიფოს ეგენი ვერ შექმნიან.*

ამ ტერაქტის მომწყობებმა მსოფლიოს დაანახეს, წლების განმავლობაში თუ რას უძლებს ისრაელი!

ყველაფერი დაიწყო პარიზის ცენტრში და დამთავრდა ებრაელობის უბანში.

ებრაულ უბანში რატომ მიდიოდნენ, იქ რა უნდოდათ?

იქაც მთავარი საქმე ჰქონდათ. ებრაელები უნდა დაეხოცათ.

ოთხი ებრაელი აქ მოკლეს — ებრაული უბნის ქაშერ სუპერმარკეტში ადამიანები შაბათის სამზადისმა მოიყვანა. საღამოს „შირ ჰაშირიმ“ — „ქებათა ქება“ უნდა წაეკითხათ და კალაშნიკოვის ლულები მიუშვირეს.

იმას, რაც ებრაულ უბანში მოხდა, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ზუსტი შეფასება მისცა კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ: ისინი დახოცეს იმის გამო, რომ ებრაელები იყვნენ. ამით ყველაფერია ნათქვამი.

არავის უკითხავს ეს ებრაელები სიონისტები იყვნენ, თუ ანტისიონისტები, ღრმად მორწმუნენი, თუ სეკულარულნი, არც მათი პოლიტიკური შეხედულებით დაინტერესებულა ვინმე და არც ზნეობრიობით. — მთავარია, რომ ისინი ებრაელები იყვნენ.

მათი დიდი „დანაშაული“ ის გახლდათ, რომ ქვეყნიერებას ებრაელებად მოევლინენ.

დიახ, ასეთია, მათი „ზნეობრიობა“ — ებრაელი ხარ? უნდა მოგაკვდინოთ.

ებრაელობა ყოველთვის, ყოველ ეპოქაში მძიმე იყო, მძიმეა დღესაც. ამ 12-13 წლის წინათ ძვირფას ლეონ ელიგულაშვილს, ჯემალ აჯიაშვილსა და მე პარიზს რომ გვათვალიერებინებდა, ვთხოვეთ მთავარ ბეით ქნესეთში მივეყვანეთ, გვაინტერესებდა, თუ როგორი იყო პარიზის მთავარი სალოცავი. თანაც საღამო ჟამი იდგა — „ყარბითის“ ლოცვის დრო.

ბეით ქნესეთი დაკეტილი დაგვიხვდა. ბატონმა ლეონმა ეს გარემოება ასე აგვიხსნა:

— დიდი შიშიანობაა,ქალაქში მუსლიმობა ისე მომრავლდა, ნაშუადღევს მინხას ლოცულობენ და სახლებში მიდიან, ყარბითს შინ ლოცულობენ.

ასე რომ, ეს ამბავი პარიზში არც დღეს დაწყებულა, არც — გუშინ: 1990 წლის მაისში, პარიზის გარეუბანში რომ ებრაული სასაფლაო დაარბიეს, მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, მოეწყო მანიფესტაცია და ამ მანიფესტაციაზე თვით საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი მოვიდა, ხალხის შუაგულში ჩადგა და ებრაელობას მხარდაჭერა გამოუცხადა.

ეს ძალიან კარგი იყო, მაგრამ შემდეგ სასაფლაოს აოხრება რომ არ დავიწყნოდათ, დამნაშავეები კარგად დაესაჯათ, შესაძლოა, დღეს ეს არ მომხდარიყო.

20 წლის წინათ საფლავებს ჩუმად, მალულად აოხრებდნენ — დღეს ქალაქის გულში, დღისით-მზისით, სასაფლაოზე გზავნიან ადამიანებს. ის, რაც ორიოდე წლის წინათ ტულუზაში მოხდა, როცა ებრაული სკოლის მოსწავლეები დახოცეს, დღეს პარიზის გულში განმეორდა.

10 იანვარს, საღამო ხანს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ებრაულ უბანს ეწვია და ჯამაათთან შეხვედრაზე ასეთი ფრაზა თქვა:

— ნუ შეგეშინდებათ, რომ ხართ ებრაელები!

ადამიანები არიან და იქნებ შეეშინდეთ კიდეც, მაგრამ არ წახდებიან, მტერს არ შეპუებიან — ებრაელებს უფრო დიდი სისასტიკისთვის გაუძლიათ.

ამ ტრაგედიამ ებრაელობა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს, გააერთიანოს — ებრაულ სუპერმარკეტში დახოცილ ებრაელებს ისრაელში წაასვენებენ. რა კარგი იქნებოდა ისინი ცოცხალნი ჩასულიყვნენ ისტორიულ სამშობლოში.

გურამ გათიაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება

ამ ტრაგედიამ გააერთიანა მთელი მსოფლიო, ეს იყო ნათელი დემონსტრირება იმის, თუ რა ძალა აქვს ერთობას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარიზში, სოლიდარობის აქციის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ტერორიზმის წინააღმდეგ გაერთიანება არის ძალიან მნიშვნელოვანი და სწორი გამოსავალი.

„ჩვენ ჩამოვედით, რათა სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოგვეხატა ფრანგი ხალხისადმი. საფრანგეთი არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა. ჩვენ კარგად გვახსოვს როგორი მხარდაჭერა გამოგვიცხადა საფრანგეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ აგვისტოს ომის დროს. დღეს ქართველი ხალხი და საქართველოს ხელისუფლება ვდგავართ ფრანგი ხალხის გვერდით,“ - აღნიშნა პრემიერმა.

პარიზში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნის ლიდერთან ერთად, პარიზში გამართულ „ერთობის მარშში“ მიიღო მონაწილეობა.

ჯამბაზების ჯამბაზობანი

რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა მწვავედ უპასუხა იმ რუს „ექსპერტებს“ რომლებიც ამბობენ, რომ პარიზში სატირული ჟურნალის Charlie Hebdo რედაქციაზე თავდასხმასთან ისრაელი არისო დაკავშირებული.

—ესენი სერიოზულად განიხილავენ საკითხის იმის თაობაზე, რომ ამ ტერორისტული აქტით ისრაელმა სამაგიერო გადაუხადა პრეზიდენტ ფრანსუა ორლანდს პროპალესტინური ორიენტაციის გამო და ეს აქცია ისრაელელებმა მოამზადესო.

როგორც პორტალი „იზრუსი“ იტყობინება,ეს განცხადება გააკეთეს სტრატეგიულ გამოკვლევათა „რუსეთი—ისლამური სამყარო“ ცენტრის ხელმძღვანელმა შამილ სულტანოვმა და რუსეთის გეოპოლიტიკურ პრობლემათა აკადემიის პრეზიდენტმა ლეონიდ ივაშოვმა. რუს პოლიტოლოგთა ავადმყოფურ ფანტაზიას რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა მკაცრი რეალობა დაუპირისპირა—კანერი დარწმუნებულია: ევროპა ასეთ მდგომარეობაში იმიტომ აღმოჩნდა,რომ მან შეიფარა რელიგიური ფანატიკოსები, რომლებსაც სძულთ ძირძველი ევროპელების კულტურა და რომლებიც პრობლემებს აგვარებენ არა იურიდიული კანონების აღსრულების გზით, არამედ ბანდიტიზმით, ტყვიითა და დანებით.

კანერმა ისიც აღნიშნა, რომ ისრაელი აფრთხილებდა საფრანგეთს, თუ რა ელოდა ისლამისტი ტერორისტებისაგან:

—ექვსი თვის წინათ ჩვენს ქვეყანაში გამოვიდა პლაკატი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ხიჯაბიანი ჯოკონდა. ჯოკონდას ხელში რაკეტა „კასამი“ ეჭირა.წარწერა კი აცხადებდა: „ჯერ ისრაელი, მერე—პარიზი.ისრაელი თავისუფალი სამყაროს დაცვის ბოლო ზღუდეა“. ძალიან მინდა,რომ ასეთი წინასწარმეტყველება არ აღსრულდეს, მაგრამ ისტორიას თავისი დაუნდობელი ლოგიკა აქვს.

კანერის აზრით, ისრაელის მომავალი პოლიტიკა დამოკიდებული იოქნება იმაზე, თუ როგორ უპასუხებს ამ არცთუ ორაზროვან გამოწვევას ევროპა. ისრაელი კი ის სახელმწიფო არისო,რომელსაც ბევრი ვნება ადგება ევროპის მიერ გამოცხადებული სრულიად გაუმართლებელი პროპალესტინური ეკონომიკური სანქციებისაგან.

ქართულ–ებრაული ურთიერთობები 1921 წლის ემიგრაციაში

ნაშრომი ეძღვნება 26 საუკუნოვანი ქართულ-ებრაული ტრადიციების გამგრძელებელს, ჩვენი ოჯახის მეგობარს — რუბენ მაგალს (მაღალაშვილს).

მარიამ მარჯანიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორანტი

ერის წინამძღოლმა ილია ჭავჭავაძემ საგანგებო წერილი უძღვნა ანტისემიტური მოძრაობის მსოფლიო პრობლემას: „ეს რამდენი ხანია ევროპაში არსებობს ე.წ ანტისემიტური ესე იგი ებრაელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც სცდილობს რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დასჩაგროს ებრაელნი... განათლებულს საზოგადოებას დიდი გავლენა აქვს ევროპის ყოფა–ცხოვრებაზე. ამ ნაწილს საზოგადოებისას შეუძლიან თავისი კვალი დააჩნიოს ებრაელთა ბედსა და უბედობას“ [ჭავჭავაძე ი. 2007:226–227].

ილია მიიჩნევდა, „გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონება გახსნილ კაცისაგან“ [ჭავჭავაძე ი. 2007:226–227].

ევროპის მსგავსად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთშიც იმპერიის საშინაო პოლიტიკის ერთ–ერთი ძირითადი ქვაკუთხედი გახდა ანტისემიტიზმი. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მხარდაჭერით და წაქეზებით მოხდა ებრაული მოსახლეობის დარბევა მოსკოვში, კიევში, ოდესაში, კიშინიოვში და იმპერიის სხვა დიდსა თუ პატარა ქალაქებში. შავრაზმული ორგანიზაციების აქტივისტებს სურდათ საქართველოც გადაექციათ ანტისემიტიზმის ერთ–ერთ კერად.

როგორც ჰუმანისტური და დემოკრატიული იდეების მატარებელი პიროვნება გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხიც მკვეთრად დაუპირისპირდა ანტისემიტურ მოძრაობას. თავის ერთ–ერთ პუბლიცისტურ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები და შვილისშვილები მაინც მოესწრებიან იმ დროს, როდესაც ურიები ისეთივე თანამოქალაქენი და თანამოძმენი შეიქმნებიან ქრისტიანებისა, როგორც ჩვენ ერთმანეთში ვართ. და ეს მოხდება, უეჭველია, მხოლოდ მაშინ, როცა კანონი და ხალხი ნამდვილ ადამიანათ იცნობს ებრაელს, როცა არავინ მოსთხოვს, რომ მაინცა და მაინც თავისი ხალხოსნობა და სარწმუნოება დააგდოს და სხვა რომელიმე მიიღოს, ერთი სიტყვით, როცა ებრაელებსაც ყველა ის უფლება მიენიჭებათ, რაც სხვა მოქალაქეებს აქვსთ. მაშინ „ურია“ საგინებელი სიტყვა აღარ იქნება“ [ფირცხალავა ს. 1904:15].

ამ პუბლიკაციაში სერგეი მესხმა მკითხველებს სიხარულით ამცნო იმის შესახებ, რომ ხელისუფლება აპირებდა ისეთი კანონის გამოცემას, რომლის ძალითაც ებრაელებს რუსეთის ყველა გუბერნიაში დასახლებისა და ცხოვრების უფლება მიეცემოდათ.

ანტისემიტიზმს საქართველოში მძლავრ ჯებირად გადაეღობა ჩვენი ხალხების მეგობრობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების უკომპრომისო და შეუწყნარებელი დამოკიდებულება ანტისემიტიზმისადმი“ [სტეფანია მ. 1996:27].

დიდ სამოციანელების მსგავსად, ანტისემიტური მოძრაობის წინააღმდეგ გაილაშქრეს ქუთაისელმა ახალგაზრდებმა მაშინ, როცა ერთ–ერთმა რუსულმა დასმა ქუთაისში სპექტაკლი „კონტრაბანდისტები“ ჩამოიტანა. მაყურებელი აღაშფოთა პიესის ანტი–ებრაულმა ღვარძლმა და მეორე მოქმედების დასაწყისში წარმოდგენა შეწყდა. ქუჩაში გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაცია, პოლიცია და კაზაკების რაზმი მათრახებითა და კონდახებით ერეკებოდნენ დემონსტრანტებს, დააპატიმრეს 200–მდე კაცი. მათ შორის ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი ნიკო ლორთქიფანიძეც.

„ორი კვირის შემდეგ, შეცვლილი სახელწოდებით „შვილნი ისრაელისა“ – კვლავ სცადეს ამ წარმოდგენის ჩვენება, მაგრამ კვლავ განმეორდა წინა თვეში მომხდარი ისტორია, ამ ინციდენტს გამოეხმაურა რუსული პრესა. დაპატიმრებული ახალგაზრდები შემოდგომაზე გაასამართლეს. ეს სასამართლო პროცესიც ახალგაზრდებმა პოლიტიკურ მანიფესტაციად აქციეს“ [ჭეიშვილი ს. 2007 :596].

საერთოდ, „ქართველი ხალხის ცნობიერებაში არასოდეს ყოფილა გაიგივებული ებრაელობა ქრისტეს მწვალებლებთან. ჩვენი ეკლესიის წინამძღვრებს არ უცდიათ შეექმნათ ებრაელებისაგან „მტრის ხატი“. ქართული ეკლესია მფარველობდა და შეძლებისდა–გვარად ეხმარებოდა საქართველოს ებრაულ მოსახლეობას“ [სტეფანია მ. 1996:21].

ქართულ მიწა–წყალზე ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის 26 საუკუნოვანი თანაცხოვრება მიმდინარეობდა, როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე. ეს ურთიერთობა ხატოვნად რომ ვთქვათ, ორი ერის წინაპრების სულიერი სიახლოვის ტრადიციებიდან იღებდა სათავეს. ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელ ერებს სხვაგვარად არც შეეძლოოთ, რადგან ეს წიგნები ზრდიდა და ზნეობრიობის, სულიერი წონასწორობის უნიკალურ მაგალითებს აძლევდა თითოეულ მათგანს.

ამ ისტორიული მეგობრობის დასტურია ის, რომ ქართველი ებრაელები საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებისაგან განსხვავებით მეტყველებდნენ და აზროვნებდნენ მხოლოდ ქართულად და სრულიად კანონიერად მიიჩნევენ ქართულს მშობლიურ ენად.

როგორც ცნობილია, ებრაელები იყოფიან აშკენაზებად და სეფარადებად. აშკენაზების ჯგუფს განეკუთვნებიან ევროპაში მოსახლე ებრაელები, ხოლო ქართველი ებრაელები თავიანთ თავს სეფარადებად მიიჩნევენ და ამ მიმდინარეობის ადათჩვევების მიმდევრები არიან.

ქართველი ებრაელობა საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან და საქართველოს სხვა მოსახლეობასთან ერთად ქმნიდა ქართულ კულტურას.

სნორედ, ქართულ გარემოსთან სიახლოვემ ებრაელებს შეუნარჩუნა და გამოუმუშავა თავისებური კოლორიტი და ეს ურთიერთობა ხდიდა და ხდის ქართველ ებრაელებს ქართული სამყაროს ორგანულ ნაწილად.

მრავალჯერ მოსულა საქართველოში სისხლის წვიმა, მაგრამ არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ ქართველ ებრაელებს არ გაეზიარებიათ ქართველის ტკივილი. ამის დასტურია 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია, რომელმაც ჩამოშალა დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული სხეული. ახალ რეჟიმთან შეუთავსებლობისა და საერთაშორისო სამართლის გზით საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის მებრძოლ მთავრობისა და მოწინავე ინტელიგენციის გვერდით დადგა ქართველი ებრაელობაც, მათ შორის აღსანიშნავია იოსებ ელიგულაშვილის ღვაწლი.

ქუთაისში, მდიდარი ებრაელის ოჯახში, 1890 წლის 12 ნოემბერს დაიბადა იოსებ ელიგულაშვილი. მამამისი არონ ელიგულაშვილი ქუთაისის სინამდვილეში თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ. იგი სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქალაქის ხმოსანთა საბჭოს წევრად, ხოლო 1917 წლის არჩევნებში, რომელიც მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ჩატარდა, ქუთაისის საბჭოს ხმოსანი დეპუტატი საქართველოს ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის სიით.

„ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტის მიერ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის გელათის ქუჩიდან წარდგენილი იყვნენ არონ ელიგულაშვილი (ვაჭარი); იოსებ ხახანაშვილი (ვაჭარი); კალისტრატე ჩიკვაიძე (ვექილი) და შიმშონ იაკობიშვილი (ვაჭარი)“ [გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ 1917:3].

არონ ელიგულაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე მეტყველებენ ასევე გაზეთების „სამშობლოსა“ და „სახალხო ფურცელში“ დაბეჭდილი შემდეგი ინფორმაციებიც: 1916 წელს არონ ელიგულაშვილი გახდა ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის წევრი: „ორშაბათს, 13 ივნისს, ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში ბ–ნ ი.ხეჩინოვის თავმჯდომარეობით შესდგა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებამ დაამტკიცა გამგეობის წარსული წლის ანგარიში და მომავლის ხარჯთა აღრიცხვა და გამგეობაში ამოირჩია შემდეგი პირნი: ელ. ნ. ხეჩინოვისა, ს.ი. ხეჩინოვი, გუბერნიის ექიმი ა. ტერტეროვი, ი. თ. ცინცაძე, ს. ე. წერეთელი, არონ ელიგულაშვილი, შიმშონ იაკობიშვილი, ა. ბ. გიგინეიშვილი (მდივნათ) და დ. პ. მაჭავარიანი (ხაზინადრად). სარევიზიო კომისიაში ივ. პურადაშვილი და ფ. ჯაყელისა [გაზეთი „სამშობლო“ 1916:3].

იგი გახლდათ ასევე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების აკაკის სახელობის ხალხური სიტყვიერების ფონდისათვის ებრაელთა შორის ფულის შეგროვების ორგანიზატორიც.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო აკაკის სახელობის ხალხურ სიტყვიერების ფონდისათვის გასულ მკათათვეს: 1) „საქართველოს“ რედაქციისაგან 27 მან და 70 კ; 2) წ–კ. საზოგადოების მდივნის ვ. ბურჯანაძისაგან „თანამედროვე აზრის“ მიერ გადმოცემული 126 მან. და 78 კ. 3). არ. ელიგულაშვილისაგან ქუთაისის ქართველ ებრაელთა შორის მოკრეფილი 85 მან. (ფულის გამომღებთა სია; არ. ელიგულაშვილი, შ. იაკობიშვილი, მ. მოშიაშვილა, ძმ. ზ. და რ ფიჩხაძენი, არ. ციციაშვილი, მ. ფ. თავდიდიშვილი, რ.ჟიჟინაშვილი, მან.რიჟინაშვილი, არ. ფიჩხაძე, ლ. ჩიკვაშვილი და ბუზიაშვილი, გ. ფიჩხაძე, ი. და დ. ფიჩხაძე, გ. ციციშვილი, მ. მოშიაშვილი, რ.მ. რიჟინაშვილი, შ. თოფჩიშვილი, მ. გაგულაშვილი, მ. ჩიკვაშვილი, იას. ფოლოხი, გ.ჩიკვაშვილი, ი. ელიგულაშვილი და დ. რიჟინაშვილი) [გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1915:4].

შენობა, რომელშიც დღეს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაა განთავსებული, თავდაპირველად ეს გახლდათ კომერსანტ გიორგი სტეფანეს ძე აკოფოვის საცხოვრებელი სახლი. 1896 წელს მან შენობა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში დააგირავა, საიდანაც ის მოგვიანებით არონ ელიგულაშვილმა შეიძინა.

ბუნებრივია, რომ ასეთ ოჯახში აღზრდილი იოსებ ელიგულაშვილი ფესვებით იყო შეზრდილი ქართველი ერის ჭირ–ვარამთან. მან საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო უმაღლესი — მოსკოვში, სადაც დაამთავრა კომერციული ინსტიტუტი.

ძირძველ ქართველ ებრაელთა ოჯახში დაბადებული იოსებ ელიგულაშვილი ახალგაზრდობიდანვე იყო ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში. იგი ციხეშიც იჯდა და სულ ახალგაზრდა ქუთაისიდანაც იყო გადასახლებული.

რუსეთის თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ი. ელიგულაშვილს საშუალება მიეცა თუ არა, თავისი ცოდნა მაშინვე თავისუფალი ქვეყნის, დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩააყენა.

„ძალიან ახალგაზრდა იოსებ ელიგულაშვილი ფინანსთა და ვაჭრობა–მრეწველობის მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე იქნა მოწვეული. ზოგს ეს გარემოება შიშს ჰგვრიდა, – შეეფერება ეს ახალგაზრდა კაცი ამ დიდ თანამდებობასო? მაგრამ, როცა მას საქმეზე საუბარში გაეცნობოდნენ, იგი თვით ძველ და გამოცდილ ქართველ დიდ მოხელეებს და საქმის კაცების ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებდა.

საქართველოს ოკუპაცია და უცხოეთში გადმოხვეწა მისთვისაც ისე მწარე იყო, როგორც დიდი უმრავლესობისათვის. დიდი ოჯახი – სულ 28 სული ვართო, – იტყოდა განსვენებულის მამა – მისი ზრუნვის საგანი იყო დიდი ხნის განმავლობაში და თავის დიდი ენერგიით იოსებმა შესძლო ეს მრავალრიცხოვანი ოჯახი საკუთარ ფეხზე დაეყენებია“ [შარაძე გ. 1993:118].

როგორც სოციალ–დემოკრატიული პარტიის წევრი, 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იოსებ ელიგულაშვილი წამოაყენა დეპუტატად პარტიული სიით (93) ქუთაისიდან, ასევე მეორე ქუთაისელ ებრაელ მოშე დავარაშვილთან (51) ერთად. 1920 წლის აგვისტოში იოსებ ელიგულაშვილი დაინიშნა საქართველოს ეკონომიკურ აგენტად როტენდამსა და საფრანგეთში, რის გამო იგი განთავისუფლებულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრობიდან. 1921 წლის თებერვალ–მარტში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იოსებ ელიგულაშვილმა გაიზიარა ეროვნული მთავრობის ხვედრი და ემიგრაციაში გაიხიზნა.

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად იოსებ ელიგულაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1921 წელს საქართველოდან ეროვნული განძის გატანისა და გადარჩენის საქმეში. აი, რას ვკითხულობთ ექვთიმე ტაყაიშვილის მოგონებაში, რომელიც ვასილ ჩუბინიძემ გამოაქვეყნა: „წითელი არმია თბილისს უახლოვდება. მიბარებს ჩემი მეგობარი დიდი ივანე ჯავახიშვილი და მეუბნება: მოდის რუსის ჯარი, მონათლული დამოუკიდებელი საქართველოსა და სამღვდელოების მტრობა–სიძულვილით. ისინი დაარბევენ და გაძარცვავენ ჩვენს ეკლესიებს, მუზეუმებს დ ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებს. ამიტომ შენ უნდა ნახო მთავრობის თავმჯდომარე და გააცნო ეროვნული განძეულობის გაძარცვა დაღუპვის საშიშროება...

ნოე ჟორდანიამ მომისმინა და მაშინვე გამოაძახებინა ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი იოსებ ელიგულაშვილი–თანაშემწე ფინანსთა მინისტრის, კაცი განათლებული, ენერგიული და საქმიანი.

მან იოსებს უთხრა: შენ თანამშრომლობ ექვთიმესთან, გეძლევა სრული უფლება იმოქმედოთ თქვენი შეხედულებისდა მიხედვით განძეულობის შესაკრებად, გაძლევთ უფლებას ყოველგვარი ტრანსპორტის რეკვიზიციისას და საჭირო თანხებს.

იოსებ ელიგულაშვილის განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭიერებით ჩვენი დავალება ბრწყინვალედ შევასრულეთ“ [ჟურნალი „ჩვენი დროშა“ 1986:78–82].

საქართველოს განძის გადარჩენის გარდა, როგორც ნინო სალია თავის მოგონებაში აღნიშნავდა: „იოსებ ელიგულაშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველოს მთავრობამ 1922 წელს შეიძინა პარიზთაან ახლოს დაბა

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

სახელოვანი იუბილარი

აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით

ამ დღეებში 60 წლისა ხდება რევაზ ისმაილის-ძე სეფიაშვილი – რუსეთის სამამულო მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენელი, იმუნოლოგიასა და ალერგოლოგიაში, იმუნო-ფიზიოლოგიასა და იმუნორეაბიტილოგიაში მსოფლიოში აღიარებული ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, იმუნოპათოლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი, ალეგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირის პრეზიდენტი, დსთ-ს ქვეყნების ფიზიოლოგიურ საზოგადოებათა პრეზიდენტი, მოსკოვის იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის წყალტუბოს ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი. რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ალერგიისა და იმუნოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



რევაზ სეფიაშვილი მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. 1971 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის საშუალო სკოლა და სასწავლებლად შევიდა ქ. კრასნოდარის წითელი არმიის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე.1978-1982 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი, პარალელურად მუშაობდა ჯერ უმცროს „ხოლო მოგვიანებით, უფროს მეცნიერ მუშაკად პატიო-ფიზიოლოგიის კათედრაზე, რომელსაც პროფესორი როსტისლსვ ცინკალოვსკი ხელმძღვანელობდა.

1984 წელს რევაზ სეფიაშვილმა ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა ქ. წყალტუბოს იმუნოლოგიურ ცენტრს.

1989 წელს რევაზ სეფიაშვილმა წარმატებით ჩაატარა იმუნოლოგთა პირველი საკავშირო ყრილობა ქ. სოჭში (დაგომისი). ამ ყრილობაზე აკადემიკოს რ. პეტროვის წინადადებით, იგი იმუნოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის და პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს, ამავე ყრილობამ დაამტკიცა ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად.

1990 წელს რევაზ სეფიაშვილი მოგვევლინა ქ. წყალტუბოში ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის ინიციატორად. რ. სეფიაშვილის ხელმძღვანელობით ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ცენტრი გახდა.

1995 წელს რ. სეფიაშვილის ინიციატივითა და მოსკოვის მთავრობის დადგენილებით, რუსეთის დედაქალაქში შეიქმნა იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტი. რ. სეფიაშვილი დაარსების დღიდან ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელია.

რ. სეფიაშვილის მთელი სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია იმუნური სისტემის ფიზიოლოგიასა და იმ სამეცნიერო პოსტულატის დასაბუთებასთან, რომლის მიხედვითაც „იმუნური სისტემაორგანიზმის ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი ფიზიოლოგიური სისტემაა. შწორედ იგი უზრუნველყოფს ორგანიზმის შიგა სამყაროს გენეტიკური მუდმივობის მხარდაჭერას.“

1982 წელს რევაზ სეფიაშვილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1989 წ.რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს იმუნოლოგიის ინსტიტუტში—სადოქტორო დისერტაცია.

რევაზ სეფიაშვილს 35 წლის ასაკში მიენიჭა პროფესორის წოდება.

როფესორ რევაზ სეფიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა ტვინის იმუნური სისტემის ფიზიოლოგიური საფუძვლების და ცერებროსპინალური სითხის შესწავლა. რ. სეფიაშვილის მიერ პირველად იქნა წამოყენებული ჰიპოთეზა ტვინის იმუნური სისტემის ავტონომიურობის თაობაზე, მიღებული კლინიკურ-ექსპერიმენტული მონაცემები გამოყენებული იქნა „ნეიროიმუნოპათოლოგიის“ სახელმძღვანელოდ.

1984-1999 წლების რ. სეფიაშვილის სამეცნიერო კვლევებმა საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო მეცნიერების სრულიად ახალ მიმართულებას—იმუნორეაბიტოლოგიას. მდენად, რ. სეფიაშვილი ამ მიმართულების ფუძემდებლად, ლიდერად ითვლება. ეს მიმართულება ფართოდ დაინერგა რუსეთში „დსთ-სა და უცხოეთის მრავალ ქვეყანაში, სადაც შეიქმნა და აქტიურად ფუნქციონირებს იმუნორეაბილიტაციის ცენტრები. ეს ცენტრები უმთავრესად რ. სეფიაშვილის ფუნდამენტალურ სამეცნიერო ნაშრომებში მოქცეულ იმუნორეაბილიტაციის პრინციპით მუშაობენ.

რევაზ სეფიაშვილისა და მისი მოწაფეების მიერ ჩატარებული იქნა კვლევები სასუნთქი სისტემების ფიზიოლოგიის და როგორც უფროს თაობაში, ასევე მოზარდებში ფართოდ გავრცელებული ავადმყოფობის—ფილტვების ბრონქიალური ასთმისა და სხვა ქრონიკული არასპეციფიკური დაავადების პაროგენეტიკური მექანიზმების სესასწავლად.

გამოკვლევათა შედეგები საფუძვლად დაედო მონოგრაფიას და მსოფლიოს ერთ-ერთი პრესტიჟული გამომცემლობის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემულ მრავალტომიან სახელმძღვანელოს.

«MonduzziEditore» da «Oxford-Press»:

– «Asthma: From Genes to Clinical Management »(2003);

– «Advances in Research & Management of Asthma and COPD» (2004);

– «New Horizons in Allergy, Asthma and Immunology » (2009);

– «Advances in Allergy,Asthma & Immunology: From Basic Science to Clinical Management» (2010);

– «Allergy,Asthma & Immunology:From Genes to Clinical Application» (2011);

– «Allergy,Asthma &Immunophysiology:From Basic science to Clinical Application» (2012);

– «Allergy,Asthma &Immunophysiology:From Basic Science to Clinical Management» (2013);

– «Allergy,Asthma &Immunophysiology:From Gene to Clinical Management» (2014);

– «Asthma: Comorbidities, Coexisting Condsitions& Differential Diagnosis» (2014).

რევაზ სეფიაშვილის რედაქციით გამოიცა „ასთმის მკურნალობისა და პროფილაქტიკის სახელმძღვანელო“ (GINA-2003) „ალერგოლორგიოლი ირონიტის მკურნალობა და მისი გავლენა ასთმაზე“ (ARIA-2003), „ბრონქიალური ასთმის მკურნალობისა და პროფილაქტიკის ჯიბის სახელმძღვანელო“ (GINA-2003) და სხვ.

რევაზ სეფიაშვილი, როგორც ასთმის მკურნალობის ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ექსპერტი შეყვანილი იქნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამუშაო ჯგუფში „ასთმა და სპორტი“, რომლის პირველი სხდომა 2002 წლის აპრილში მონტე კარლოში გაიმართა.

რევაზ სეფიაშვილს სამამულო და უცხოეთის პერიოდიკაში გამოქვეყნებული აქვს 380 სამეცნიერო ნაშრომში. გამოცემულია უამრავი სასწავლო მეთოდური რეკომენდაციები სტუდენტების, ექიმებისა და ბიოლოგებისათვის. საბჭოთა კავშირში პირველად სწორედ რ. სეფიაშვილმა დაწერა წიგნი სპიდზე. (1982წ.) მისი რედაქციით გამოცემულია 27 მონოგრაფია, სასწავლო სახელმძღვანელო იმუნური სისტემის ფიზიოლოგიასა და პოთოლოგიაზე. ამათ შორის ბოლო წლებში გამოიცა „იმუნური სისტემის ფიზიოლოგიის საფუძვლები“, „ნეიროიმუნოპათოლოგია“, „ბუნებრივ კილერთა ფიზიოლოგია“. რ. სეფიაშვილი გახლავთ სამეცნიერო აღმოჩენისა და რამდენიმე გამოგონების ავტორი.

რ. სეფიაშვილი აქტიურად მონაწილეობს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებაში. 2005 წელს რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში სწორედ მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრა, რომლის ხელმძღვანელიც დაარსების დღიდან გახლავთ. ამავე უნივერსიტეტში მისსივე ინიციატივით შეიქმნა ასპირანტურა და დოქტორანტურა „ალერგოლოგია და იმუნოლოგია“, ხოლო 2014 წელს დამტკიცდა „ასპირანტურის პროგრამა“ და კლინიკური ორდინატურის სტანდარტი“. ამ კათედრაზე გადამზადებას გადიან სამი სპეციალობის ადამიანები—ექიმები, ბიოლოგები და მედიცინის დები.

რევაზ სეფიაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცული იქნა 10 სადოქტორა და 22 საკანდიდატო დისერტაცია. ჩვენი იუბილარი აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას უთავსებს არანაკლებ აქტიურ სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობას.

რევაზ სეფიაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამამულო ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის საერთაშორისო აღიარებაში. დსთ-ს ქვეყნებში სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა ალერგიისა, იმუნოლოგთა და იმუნორეაბიტოლოგთა რესპუბლიკური და ეროვნული სამეცნიერო საზოგადოებები. ამათგან აზერბეიჯანის, უკრაინის, საქართველოს, ბელორუსიის, მოლდოვას და სომხეთის სამეცნიერო საზოგადოებები ევროპის მსოფლიო ორგანიზაციაში სწორედ რ. სეფიაშვილის ძალისხმევით შევიდნენ.

რ. სეფიაშვილი 1999 წელს დსთ-ს ალეგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირის თავმჯდომარე გახდა, ხოლო 2002 წელს მსოფლიოს იმუნოლოგთა

ორგანიზიის პრეზიდენტად აირჩიეს. 2003 წელს იგი ასთმის მსოფლიო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახდა. 2003 წელს რ. სეფიაშვილი გვევლინება დსთ-ს ქვეყნების ფიზიოლოგიურ საზოგადოებათა ჯერ შექმნის ინიციატორად, შემდეგ ვიცეპრეზიდენტად და აღმასრულებელ დირექტორად, 2011 წელს კი ამ საზოგადოების პრეზიდენტად აირჩიეს. 2010 წელს რევაზ სეფიაშვილს ირჩევენ საქართველოს აღერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტად, 2004 წლიდან კი იგი გახლავთ რუსეთის იმუნოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და სრულიად რუსეთის ი.პავლოვის სახ. ფიზიოლოგთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ბიუროს წევრი. მისი მეცნიერული აღიარებისა და დიდი დამსახურების დასტურია ის, რომ რევაზ სეფიაშვილი არჩეულია კრასნოდარის, თბილისის, ნოვოსიბირსკის როსტოვის, კიშინიოვის, ტიუმენის, ალმა-ათის სამედიცინო უნივერსიტეტების, ასევე ბათუმის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად

2002 წელს 47 წლის რევაზ სეფიაშვილი აირჩიეს მისი მშობლიური საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.ამავე დროს იგი გვევლინება ვაშინგტონის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრად. იგი ასევე წევრია უცხოეთის ბევრი ნამყვანი საზოგადოებისა.

რევაზ სეფიაშვილი 2003 წელს, რუსეთის მეცნიერთაგან პირველად არჩეული იქნა აშშ ალერგოლოგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის აკადემიის, ხოლო 2009 წელს, ტორაკალურ დოქტორთა კოლეჯის საპატიო წევრად.

რევაზ სეფიაშვილი 2011წელს აირჩიეს აშშ ალერგოლოგიის, ასთმის და იმუნოლოგიის კოლეჯის საპატიო წევრად და ევროპის რესპირატორული საზოგადოების ოქროსან წევრად (ღშ)

უკვე მრავალი წელია რევაზ სეფიაშვილი გახლავთ ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი, 2003-2013 წლებში კი გახლდათ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საატესტაციო კომიტეტის ექსპერტთა საბჭოს წევრი.

რევაზ სეფიაშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში დაარსა ხუთი სამეცნიერო ჟურნალი, რომელთა მთავარი რედაქტორი თავად გახლავთ. ეს ჟურნალები რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა.აქვეა აღსანიშნავი ის გარემოებაც, რომ რ.სეფიაშვილი გახლავთ მთელი რიგი რუსული და უცხოური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1983 წლიდან მოყოლებული რევაზ სეფიაშვილი ორმოცდაათზე მეტი სამამულო, თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების პრეზიდენტი, ან საორგანიზაციაო საბჭოს წევრი თუ თავმჯდომარეა. ეს სამეცნიერო ფორუმები რუსეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ტარდებოდა. სწორედ მისი მეცნიერული ღვაწლის დაფასებასა და აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირისა და შემდგომი პერიოდის რუსეთის ისტორიაში მოსკოვში პირველად ჩამოვიდნენ და ლექციები წაიკითხეს ფიზიოლოგიის, მედიცინის, ქიმიის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატებმა.

რევაზ სეფიაშვილი ამ დიდი დამსახურების გამო დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999წ.), ი. პავლოვის სახ. ოქროს მედლით (2004წ). „ბრილიანტის ვარსკვლავით“ (2005წ), პრემიით „პროფესია-ცხოვრება“ (2006წ), როგორც მედიცო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა გამოჩენილ მოღვაწეს, 2007 წელს მიენიჭა ამერიკის ალერგოლოგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის აკადემიის „ბრილიანტის იმუნოგლობულინი“, 2012 წელს კი რუსეთის იმუნოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებამ რევაზ სეფიაშვილი დაჯილდოვა ი. მეჩნიკოვის ოქროს მედლით და დიპლომათ. იმუნოლოგიის დარგში დიდი მიღწევების გამო ამავე — 2012 წელს — რ. სეფიაშვილი რუსეთის მეცნიერთა შორის პირველი დაჯილდოვდა აშშ პრესტიჟული — ალერგოლოგია, ასთმოლოგთა და იმუნოლოგთა კოლეგიის მედლით.

რევაზ სეფიაშვილის ენციკლოპედიურ განათლებასთან ერთად განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ადამიანური თვისებები — უსასრულო კეთილმოსურნეობა, კეთილსინდისიერება, თანალმობის ნიჭი, მზადყოფნა იმისათვის, რომ პირველი გამოესარჩლოს, დაეხმაროს მას, ვისაც ეს სჭირდება.

ძნელია მოინახის ისეთი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე,რომელმაც ასეთ მოკლე დროში,არა მხოლოდ მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი, იმუნოლოგიის,ალერგოლოგიის ფიზიოლოგიის აღიარებული ლიდერი გახდა,არამედ საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე სამეცნიერო მიმართულებას. შესძლო ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა და მეთაურობა.ამასთან ერთად ხელმძღვანელობდესკათედრას,ხუთ სამეცნიერო ჟურნალს, სადისერტაციო საბჭოს„რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების. ამასთან ერთად არ გახლავთ იოლი მოინახოს მისებრ თავმდაბალი,მეცნიერების ერთგული—მისთვის თავგანწირული ადამიანი.იგი იღწვის მსოფლიოს მეცნიერთა კონსოლიდაციისათვის და ამას აკეთებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

Академик Реваз Сепиашвили - продукт неиспользованного и неупотреблямого генетического фонда выходцев людей Мойсеевой ВЕРЫ , освободившихся из Вавилонского плена,

колена Веньяминовых. Они после десятки лет кочевания, скитании и пойска места выживания и проживания дошли до под вечно заснеженных Кавказских гор Грузии. Утром, когда проснулись, увидели сказочную красоту природы подгорья - долины. Однако, дальше скитаться было невозможно и пришлось им " временно" переночевать, всего на 2600 лет. Эти места необыкновенной красоты, не хуже чем Швейцария, они оседлили, и превратили в "РАЙСКИЙ САД" под названием село ЛАЙЛАШИ, что на древнем библейском языке означает "ночлег". Эти экзотические места назвали "ЛЕЧХУМИ", которые благодаря новых библейских поселенцев Мойсеевой веры стали центром развития агрокультуры, животноводства, религии, искусства и культуры.

Они жили мирно, в довольствие, создали минятурную "Палестину", создавали сельско.хозяйственную продукцию, которых экспортировали в ближелечащих поселениях и городах. Они не продавали их на деньги, а обменивали на текстиль, цемент, соль, свечки, и спичку.

Лидерами этого библейского поселения считались семьи Сепиашвили

САПИР - книгописец и Мардахиашвили МОРДЕХАЙ - Марди - Вавилонский почетный титель типа князь и переводиться как Бог Солнца. Моя бабушка Саша носила фамилию - Сепиашвили, а дедушка - Мардахиашвили. Дедушка Реваза Якоб Сепиашвили и моя бабушка были близкими родственниками. Супруга Реваза является родом Мардахиашвили - Марди.

Многие соотечественники, которые поселились в городах Грузии оказались под влиянием других религии, и стали иноверцами, а вот группа переселенцев в краях ЛЕЧХУМИ сохранили свою историческую веру, поскольку "ПРОСВЕТИТЕЛИ" не погли преодолеть труднодоступные места их обитания, особенно село "Лаилаши".

В село Лайлаши до сих пор сохранились самая древная Синагога, где

поселенцы начинали молиться со словами - "в следующем году в ИЕРУСАЛИМЕ." Многие предметы культа и религии, привезенные из Вавилона, или потерялись или находяться в музеях Грузии и Израиля.

Их мольва и мечта осуществлилась в Х1Х веке, через 26 веков. Мои и Реваза Сепиашвили родные живут в Иерусалиме.

Моя семья живет в Швейцарии, а семья Реваза В Москве, не теряя связь с родными.

На протяжении 26 веков наши предки учились только в "Библейских школах - ИЕШИВАХ", а не в государственных школах. До Х!Х века среди них редко кто-то имел среднее образование, не говоря уже университетское. Так, что на протяжении 26 веков ГЕНЕТИЧЕСКИЙ ФОНД поселенцев из Палестины Мойсеевой веры, был "НЕ ТРОНУТ, НЕ ИСПОЛЬЗОВАН, в полной сохранности.

Все изменилось после революции 1917 года, переворота Царской России. Коммунисты, захвастившие власть, начали грабить зажиточных граждан страны. наступил голод и разруха во всех отраслях промышленности и сельского хозяйства. жителям село Лайлаши стало трудно жить и они постепенно начали переселяться в городах, чтобы выжить. Наши предки оставили все нажитое и переселились в ближайший город КУТАИСИ. Благодаря неисчерпанного генетического интелектуального фонда наши родиле в городе Кутаиси адаптировались довольно быстро и успешно интегрировались в ПРИВЕЛИГИРОВАННОМ обществе, стали не только знаменитыми, но и довольно зажиточными. Они сразу поняли, что детям надо давать Высшее образование, чтобы подняться на достойном уровне жиэни.

Вот мы Реваз и Шалва среди других во всех поколениях стали пионерами, которые ворвались в двери средней школы и вышли из университетских дверей. Стали дипломированными врачами.

Дальнейшее развитие нашей успешной врачебной и научной деятельности можно объяснить вплеском и взрывом наших веками неиспользованных генетических интеллектуальных фондов.

Шалва Марди

Приглашение для профессора Шалва Марди -Invitation for professor Shalva Mardi as a Invite speaker

1 Nachricht

Revaz Sepiashvili <wipocis@gmail.com> 20. November 2014 05:05
An: shalva.mardi@gmail.com

Глубокоуважаемый профессор Марди!

Приглашаем Вас принять участие в работе Международного научного форума «***Иммунитет и аллергия: взгляд в будущее***», приуроченного к юбилею президента Всемирной организации по иммунопатологии, президента Союза аллергологов и иммунологов СНГ, президента Союза физиологических обществ стран СНГ академика Р.И. Сепиашвили.

Форум пройдет в Москве, в здании Российской академии наук (Ленинский проспект, 32А), с 24 по 27 января 2015 года.
В нем примут участие ведущие ученые мира, представляющие Всемирную организацию по аллергии (WAO), Всемирную организацию по иммунопатологии (WIPO), Международный союз иммунологических обществ (IUIS), Европейскую академию по аллергии и клинической иммунологии (EAACI), Американскую академию и Американский колледж по аллергии, астме и иммунологии (AAAAI и ACAAI), Европейскую федерацию иммунологических обществ (EFIS), Союз аллергологов и иммунологов СНГ.

Просим Вас прислать название Вашего доклада с акцентом на «будущее» до 23 ноября и краткое изложение доклада (до 4 страниц, включая список литературы) для публикации в журнале «Аллергология и иммунология» (до 5 декабря с.г.).

Просим подтвердить Ваше участие по электронной почте **info@wipocis.org** или **wipocis@gmail.com** и по телефону: +7 (916) 553-0953.

Президент форума
Академик Р.И. СЕПИАШВИЛИ

Почетный председатель
Академик Р.В. ПЕТРОВ

(დასაწყისი მე-3 გვერდზე)

ლევილში მამული და ორსართულიანი სასახლე („შატო“), რომელიც დღესაც საქართველოს ეკუთვნის და 70 წლის მანძილზე დიდი სამსახური გაუწია ქართულ ემიგრაციას [შარაძე გ. 1990:15].

იოსებ ელიგულაშვილის ემიგრაციაში ყოფნის შესახებ ნ. სალიამ ბევრი საინტერესო მასალა დაბეჭდა პარიზში გამომავალ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“, სადაც იგი აღნიშნავდა: „მისი სიცოცხლის საგანს მძიმე შრომა და საზოგადო მოღვაწეობა შეადგენდა. ეს იშვიათი ქართველი ებრაელი, უჩინარი, მორცხვი და მორიდებული კაცი იყო. მის გონიერ და სევდიან თვალებში, გეგონებოდა, თითქოს მთელი კაცობრიობის ჭირ–ვარამი იყო აღბეჭდილი. ვინ იცის, რამდენ გაჭირვებულ ქართველს ეხმარებოდა ეს დაუღალავი მუშა ადამიანი. არ სტოვებდა უყურადღებოდ აგრეთვე არც ერთ ქართულ კულტურულ საქმეს. იძენდა და აგროვებდა საინტერესო წიგნებს, ძღვენს უმზადებდა ტფილისის უნივერსიტეტს. იყიდა საეკლესიო ნივთები და მადლობის წარწერით უნდოდა სიონის ტაძრისათვის მიერთვა, აღსანიშნავად იმ ყურადღებისა, რომელიც ქართველებმა გამოიჩინეს პარიზში, მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველი ებრაელობის მიმართ, როგორც ეს იყო ძველი, მამა–პაპური ჩვენი ტრადიცია. ვერ მოასწრო განსვენებულმა სიცოცხლეში ამ ძვირფასი საჩუქრების გადაცემა... იოსებ ელიგულაშვილი ჟურნალ „ბედი ქართლისას“ პირველ დამხმარეთა რიცხვში ითვლებოდა“ [სალია ნ, ელიგულაშვილი ი. 1952:30].

პარიზში იოსებ ელიგულაშვილი აირჩიეს ქართული ეროვნული საბჭოს წევრად, აგრეთვე, უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველ ებრაელების ასოციაციის თავმჯდომარედ. მან დიდი ენერგია და თავგანწირულობა გამოიჩინა ქართველი ებრაელობის გადასარჩენად მეორე მსოფლიო ომის დროს.

„იოსები დიდი მადლობით იხსენიებდა ყველა მათ, ვინც ამ საქმეში მას დაეხმარა; და უპირველეს ყოვლისა იგი იხსენიებდა საქართველოს ისტორიას, რომელმაც – მისი სრულიად სამართლიანი აზრით – ისეთი ნიადაგი მოუმზადა ქართველ ებრაელობის მდგომარეობას ქართველი ხალხის არსებობის ძლიერ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, რომ მან ხელი შეუწყო იმათ შორეულ უცხოეთშიც საშინელი ტრაგედიიდან უმტკივნეულოთ გამოსვლას.

ამ საქმემ გააცნო იოსები და დაახლოვა იგი უცხოელ ებრაელობას და მათ წრეში დიდი პატივისცემა მოუპოვა. თვითონ კი, იოსები ამ უცხო წრეში მუდამ წინ სწევდა საქართველოს ისტორიას და ქართველი ხალხის განსაკუთრებულ ურთიერთობას ქართველ ებრაელობასთან დამოკიდებულებაში“ [შარაძე გ. 1993 :119].

ცნობილია, რომ უცხოეთის ცის ქვეშ ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი ეროვნულმა სულისკვეთებამ „ფაშისტად“ აქცია, ანუ ისინი შეეცადნენ უცხოური ძალის გამოყენებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, გაეთავისუფლებინათ სამშობლო ბოლშევიკური ტერორისაგან. ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა ორგანიზაციულად არც გერმანულ ნაციონალ–სოციალისტურ და არც იტალიელ ფაშისტთა პარტიაში არ შესულა. ისინი ძირითადად, საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი ქართველ ტყვეთა გათავისუფლებით იყვნენ დაკავებულნი.

უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომში ქართველ ტყვეთა სიცოცხლის გადასარჩენად „კავკასიური შტაბის“ წევრებმა ვ. ნოზაძემ, კ. სალიამ, ზ. ავალიშვილმა, მ. წერეთელმა, შ. მაღლაკელიძემ, ა. ასათიანმა, დ. სინჯიკაშვილმა, ის. მანწკავამ, მ. ტუღუშმა და სხვებმა. ენერგიული მუშაობა გასწიეს ათასობით კავკასიელი ერების გადასარჩენად. მათ ფაშისტური რისხვისაგან დაიცვეს ტყვე ქართველი ებრაელები და ასევე რუსეთის ებრაელობაც.

1943 წლის 25 ოქტომბერს შექმნილმა „ქართული საკავშირო შტაბის“ წევრებმა, განსაკუთრებით მიხეილ კედიამ, რომელიც მკაცრ კონტროლს აწესებდა ქართველი ებრაელებისათვის პირადობის მოწმობის გაცემაზე, შექმნა ქართველებრაელთა კომიტეტი — „მოსეს რწმენის მიმდევარ ქართველთა კომიტეტი“ და მას სათავეში იოსებ ელიგულაშვილი ჩაუყენა.

ეროვნების დამადასტურებელი მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით „გესტაპოსა“ და ქართველებს შორის ხშირი შეხლაშემოხლა იმართებოდა. რაც საბოლოოდ მიხ. კედიასა და ა. ქორქიას უპირატესობით მთავრდებოდა, რითაც მათ უამრავი ქართველი ებრაელი იხსნეს რეპრესიებისაგან.

საფრანგეთის ებრაელობამ, საფრანგეთის მთავარი რაბინის მეთაურობით, სასამართლო პროცესზე ერთხმად მხარი დაუჭირა მიხ. კედიას და პატიმრობაში მყოფ ა. ქორქიას განთავისუფლებას. მადლიერ ებრაელებს მიხ. კედიასათვის მატერიალური დახმარება არც მისი შვეიცარიაში ცხოვრების დროსაც არ შეუწყვეტია. ებრაელები ეხმარებოდნენ ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებსაც.

„ომის დროს მთელი ქართველი ებრაელობა იოსებ ელიგულაშვილთან იყრიდა თავს და მისგან შველას მოელოდა: მისი ცოდნის, მისი ენერგიის, მისი თავდადების იმედი ჰქონდათ. იოსებ ელიგულაშვილის ინიციატივით მთელი ქართველი ემიგრაცია ერთსულოვნად დაირაზმა ებრაელების გადასარჩენად. ამ საქმეში მან, როგორც ქართველების, ისე უცხოელების დახმარებაც მოიპოვა და რამდენიმე ასეული ქართველი ებრაელი ქართველების ძალისხმევით სიკვდილს გადაარჩინა. ამ საქმემ დიდად ასწია ქართველთა პრესტიჟი უცხოელი ებრაელების თვალში და საქართველოსაც ბევრი მეგობარი შესძინა“ [შარაძე გ. 1993 :120].

ქართველ ემიგრანტთა მიერ ებრაელთა დაცვით აღსდგა უცხოეთში საქართველოს ძველი ისტორიული ტრადიცია – ყველა ერისა და ყველა სარწმუნოების პატივისცემისა და დაცვისა. თავად ი. ელიგულაშვილი ამასთან დაკავშირებით ამბობდა: „ბევრი, ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩვენ ამ საქმეში, ამას ვერ დავივიწყებთ; მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის ქართველი დაგვეხმარა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდებაო!... “ [შარაძე გ. 1993 :120].

იოსებ ელიგულაშვილი საუკეთესო გამომხატველი იყო იმ ერთობისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ებრაელებს ქართველ ხალხთან აკავშირებდა და რომელიც ებრაული საკითხის მცოდნეებს საბუთს აძლევდა დაენახათ ქართველ ებრაელებში თვისებები სრულიად განსაკუთრებული. საერთოდ, ებრაელობასთან შედარებით, არც თუ ზნე–ჩვეულებით, არამედ ფიზიკურადაც. ეს გარემოება და ქართველი ერის მათდამი დამოკიდებულება საბუთს აძლევდა ქართველ ებრაელობას თავის თავი „მოსეს რჯულის“ ქართველებად ეღიარებინათ. ამავე გარემოებამ და ამ მოტივმა ხელი შეუწყო ქართველ ებრაელობას თავი დაეხსნათ იმ საშინელებიდან, საერთოდ ებრაელობას რომ დაატყდა ნაცისტურ გერმანიის მიერ დაკავებულ ქვეყნებში უკანასკნელი ომის დროს“ [ჟურნალი „ჩვენი დროშა“ 1953:40].

იოსებ ელიგულაშვილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარიზში, 1952 წლის 20 ოქტომბერს და დიდი პატივით დაკრძალეს ბანიოს სასაფლაოზე [პაპავა თ. 1973:23]. აი, რას ვკითხულობთ ჟურნალ „მებრძოლ საქართველოში“ (პარიზი, 1952, 8 დეკემბერი, გვ. 28) გამოქვეყნებულ ქრონიკაში: „დასაფლავებას მრავლად დაესწრო მისი პატივისმცემელი, როგორც უცხოელები, ისე ქართველები. დაესწრო ჩვენი მთავრობის სრული შემადგენლობა, მთავრობის ბ–ნი ნ. ჟორდანიას თანდასწრებით და საქართველოს ელჩი – აკ. ჩხენკელი.

„სასაფლაოზე პირველი სიტყვა ფრანგულ ენაზე წარმოსთქვა ებრაელების დიდმა რაბინმა, მთავრობის სახელით ქართულ და ფრანგულ ენაზე ბ–ნმა კ. კანდელაკმა, პარიზის ქართული კოლონიის სახელით ფრანგულ ენაზე ბ–ნმა ვ. ინნკირველმა და პარიზის სოც.–დემ. კომიტეტის სახელით ბ–ნმა ვ. ჩუბინიძემ. „მებრძოლი საქართველოს“ რედაქციის სახელით დასაფლავებას დაესწრო ბ–ნი გრ. ურუტაძე“ [შარაძე გ. 1993 :121].

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ამ ორი ერის მტკიცედ შედუღაბებულ ურთიერთობასა და თანამგრძნობელობას ცხადყოფს ბუენოს–აირესში გამომავალ ჟურნალ „მამულში“ დაბეჭდილი სტატია „26 მაისი არგენტინაში“. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად 1951 წლის 26 მაისი ხალხმრავალი ზეიმით გადაიხადეს ქართველებმა. „აკაკი პაპავამ მიმართა საგანგებო სიტყვით ქართველ ისრაელთა წარმომადგენელთ, რომელნიც ასე მრავალრიცხოვნად დაესწრნენ ამ დღის ზეიმს. ბუენოს–აირესის ისრაელნი – მოხუცნი და ახალგაზრდანი, ქალი და კაცი, რომელნიც ასე შორს იმყოფებიან და ყოველ ქართულ საქმეს გულმხურვალედ უდგანან, იმით იმსახურებენ საგანგებო პატივისცემას, რომ ქართული ენა და ადათები ასე მტკიცედ დაუცავთო.

საზეიმო მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ბ. გიორგი ნაკაშიძემ და შემდეგ ბ. გრ. ბუაძემ. სიტყვებს მისდევდა სიმღერები. შემდეგ ლეკური და მხიარულება იყო საერთო... ქართველმა ებრაელმა მოსე ხენელოვმა მუხამბაზის ხმაზე მშვენიერი ტკბილი ხმით იმღერა აკაკის ერთ–ერთი ლექსი, მან ისე მოხიბლა საზოგადოება, რომ მას რამოდენიმეჯერ ტაშით შეაწყვეტინეს გალობა. ქართველმა ისრაელებმა შეასრულეს ძველი ქართული სიმღერები და დატრიალდნენ საცეკვავოდ. ცეკვავდნენ ქალების მხრივ – ქ–ბნი: მარია ხენელოვი, სარო ჩაპტო, რაქელ ტეცოშვილი, ესთერ ბიჭაშვილი, ციალა ჯაფარიძის ასული, მზია ჭეიშვილისა, ნანული ანტონესკოსი, ევა დეკრიდოსი, ხოლო ვაჟების მხრივ კოტე ვაშაძე, გივი გელაშვილი, ზურაბ ციციშვილი, კარლო კვანტალიანი, ვ. ალიხანაშვილი და სხვანი. იყო დიდი მხიარულობა და ზეიმი დიდხანს გაგრძელდა...“ [ჟურნალი „მამული“ 1951:94].

არგენტინის ქართული დიასპორა საკუთრივ ებრაელთა ერის დღეებსაც აღნიშნავდა. არგენტინის სათვისტომოს თავმჯდომარე თამარ პაპავა ემიგრაციის კონსოლიდაციისა და ახალი თაობისა და უცხოელთათვის ქართული ტრადიციების გასაცნობად დიდ როლს ანიჭებდა დღესასწაულებსა და მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნას.

ჟურნალ „მამულის“ ფურცლებზე ხშირად ვხვდებით თამარ პაპავას სამადლობელ სიტყვებს მიმართულს ებრაელი ემიგრანტებისადმი, რომლებიც მატერიალურ დახმარებას უწევდნენ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ქართველ თანამემამულეებს.

დევნილობაში მყოფი, დიდი ისტორიული და რიცხობრივად მცირე ერთა ურთიერთ თანადგომა და პატივისცემაა გამოხატული თამარ პაპავას მემუარების ერთ ნაწილში, რომელიც 1968 წელს ჟურნალ „კავკასიონის“ 13 ნომერში დაიბეჭდა სათაურით „ორი კვირა ვირთხებთან“: „ჩემს ვიზას საშველი არ ადგებოდა... დღე დღეს მისდევდა იმ დასაქცევ დაწესებულებაში; ჩავდგებოდი რიგში ის ის იყო, რომ ჩემი რიგი მოაწევდა და თითქოს ბოლოს უნდა შევსულიყავი კომისართან და სწორედ ამ დროს კარს მიმიკეტავდნენ ხოლმე... და ერთ დღეს ჩემმა გულმა ამ წამებას ალბათ ვეღარ გაუძლო და რიგში დგომისას იქვე ჩავიკეცე და გონება დავკარგე. და როცა გონზე მოვედი, ვნახე: ორი მოხუცებული ქალი და კაცი თავზე მადგნენ და ცივ წყალში დასველებულ ცხვირსახოცს თავზე მადებდნენ. ნელ–ნელა მოვსულიერდი და როგორც იყო, წამოვდექი. და აქ ჩემს წინ მდგომმა, ბიბლიური სახის მოხუცმა ვინაობა გამომკითხა და როცა ჩემი ამბავი დაწვრილებით გაიგო, მითხრა: – მომეცი ყველა თქვენი ქაღალდი და თვითონ კი გასწიეთ სახლში ბავშვებთან. დილას აქვე მომაკითხეთ და ყველაფერი მზად დაგხვდებათო! ისე ვიყავი გაოგნებული, რომ ამ მოხუცისათვის აღარაფერი არ მიკითხავს, – დაუფიქრებლად მივენდე მას და მკვდარ–ცოცხალი წავედი ოტელში.

ადრე დილით კვლავ მოვიკრიბე უკანასკნელი ძალი და გავსწიე იმ დაწესებულებისაკენ, სადაც ორი კვირა ყოველდღე უქმად დავდიოდი.

და როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როცა ვნახე, რომ მოხუცი უკვე მელოდა და ბეჭედ დასმული ჩემი პასპორტი და ყველა საბუთი გადმომცა. ისე გავშრი, რომ მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე.

ეს მოხუცი აღმოჩნდა ებრაელი, ხელმძღვანელი მთელი ჯგუფი ებრაელთა ოჯახებისა, რომლებიც ამერიკაში აპირებდნენ გადასახლებას. თურმე მათ ლიბავაში დიდი გემი ელოდებოდათ; მოსკოვი მათ უკანასკნელ ქაღალდებს სინჯავდა იმ წყეულ დაწესებულებაში... ამ პატიოსანმა მოხუცმა ჩემი პასპორტი თურმე თავის სიას შეუერთა და ასე უმტკივნეულოდ მიიღო ჩემი ვიზაც სხვებთან ერთად. ამ კეთილმა ადამიანმა მე ყველა ქაღალდი ჩამაბარა, ჩემი მისამართი გამომკითხა, კეთილი მგზავრობა მისურვა და ტკბილად გამომემშვიდობა [ჟურნალი „კავკასიონი“ 1968:95].

ამ ამონარიდით მწერალი თამარ პაპავა ესეისტისათვის დამახასიათებელი წერის მანერით, შტრიხებით წარმოგვიდგენს ისრაელის ძეთა თანადგომასა და თანაგრძნობას რუსთაველის ერისათვის სახელმწიფოებრიობის წართმევის გამო და მათ ძალად შერეკვა–ათქვეფას სოციალისტურ ოჯახში. მოსეს ერს დევნისა და შევიწროების გაკვეთილები საკუთარ თავზე ჰქონდათ გამოცდილი და ამიტომაც იყო, რომ ისინი გადახვეწილი ქა-

ვ ა ი ე რ ა

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

იაკობ დავითაშვილი

„და ელაპარაკა გამჩენი მოშეს... და გამოვეცხადე ავრაჰამს, იცხაკს და იაკოვს...“

თორის კომენტატორი „ბაყალ ჰატურიმ“ გვასწავლის, რომ სიტყვების — „გამოვეცხადე ავრაჰამს“ ივრითულად: „ვაერა ელ ავრაჰამ“ — ბოლო ასოები „ალეფ“, „ლამედ“, „მემ“ — ადგენენ სიტყვას: „ილემ“, რაც ნიშნავს დამუნჯებას, გაჩუმებას, ანუ თორა აღნიშნავს, რომ მამები გაჩუმდნენ, არ შეეპასუხნენ გამჩენს.

„ბააყალ ჰატურიმ“-ის ასეთ ახსნაზე დაყრდნობით მეც მინდოდა ჩემი მწირი აზრი გამომეთქვა კიდევ ერთი მხარე თორის სიღრმეებისა, თორას ხომ 70 მხარე აქვს ახსნისა გვასწავლიან ბრძენები.

მერე და რას მიანიშნებს გამჩენი მოშეს, როდესაც ეუბნება— „მამები გაჩუმდნენ“, როგორც ამას გვიხსნის „ბაყალ ჰატურიმ“?

რამბა”ნი (რაბი მოშე ბენ ნახმანი) ამბობს: წიგნი ,,შემოთ“ არის წიგნი გალუთისა — განდევნა/დამონება, და ამასთანავე წიგნი — გეულისა — ხსნა.

მოშე ამოირჩია გამჩენმა იყოს მხსნელი ისრაელისა, მოშე, რომელიც არის სრულიად სულიერების განსახიერება მატერიაში და როგორც ამას იძახის მაჰარალი პრაღიდან: წერია თორაში: როდესაც დაიბადა მოშე,აივსო სახლი შუქით, შუქი კი სულიერებაა და მოშეს არა აქვს არავითარი კავშირი მატერიასთან.

თუმცა, დავამატოთ ის, რომ შუქი — „ორა“ იგივე „თორა“, და იგივე „ჰორაა“,სწავლებას, მოძღვრებას ნიშნავს, ნიშანია იმისა, რომ მოშემ საბოლოოდ უნდა განახორციელოს ის მისია, რის გამოც ამოირჩია გამჩენმა ავრააჰამი და მისი შთამომავლობა, როგორც წერია თორაში: „ავრაჰამს ვირჩევ იმის გამო, რომ ვიცი (იძახის გამჩენი) ის გადასცემს თავის შვილებს მის გზებს გამჩენის სამსახურში“.

ბოლო კვირის თავებში ძირითადი ადგილი უკავია ბრძოლას მოშესა და ეგვიპტის ფარაონს — ფარყოს შორის, თუმცა ეს სინამდვილეში უფრო ღრმა ბრძოლაა ორ საპირისპირო იდეოლოგიას შორის, რომელიც გრძელდება ბერძნების ეპოქაშიც და დღემდეც. თუ დავაკვირდებით, უფრო მოგვიანებით კვირის ფარაშაში გამოიკვეთება ის საკამათო ელემენტი, რომელზეც იბრძვის ერთი მხრივ მოშე, მეორე მხრივ ფარყო — იგივე იაფეტელი (ისევე როგორც ბერძნები იყვნენ იაფეტელები) როგორც გვასწავლიან ჩვენი წიგნები: ბრძოლა სულიერსა და მატერიას შორის, ბრძოლა, რომელიც გამოხატავს ადამიანის არსს, როგორც ადამიანი კეთილი-სულიერი და ბოროტი მატერიალური ვნებების ჭიდილს და რა არის ის, რაზედაც იბრძვიან მოშე და ფარყო (ფარაონი)? ფარყო ეკითხება მოშეს: „მერედა, ვინ მიგყავთ?“ ფარყოს არ უნდა დათმოს ბავშვები. მოშე პასუხობს: „ბავშვებით, მოხუცებით და ა.შ. მივდივართ“, მოშე ეუბნება ფარყოს: პირველ რიგში სწორედ ბავშვები მიგვყავს, ისინი, ვისთვისაც საერთოდ ამოგვირჩია ღმერთმა, მოაწყო ყველაფერი ეს, რისთვისაც შენ სწირავ მთელ ეგვიპტეს, რადგანაც ისე როგორც მე, შენ იცი, რომ ბავშვები არიან მომავალი ისრაელი ერის ფუნდამენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამბობს გამჩენი: ვირჩევ ავრაჰამს, რადგანაც ის გადაცემს მის შვილებს...“ სწორედ ბავშვებზე-მომავალ თაობაზეა ბრძოლა, ამაზე მოდის ის ათი ცემულობა, ინგრევა ეგვიპტე, ზღვის გაპობა, სინაის მთაზე თორის მიღება, ორმოცი წელიწადი უდაბნოში ხეტიალი, ისრაელში შემოსვლა, პირველი მეორე ტაძარი და მათი დანგრევა,...

საიდან საზრდოობს ის შუქი, რომელიც გამოვლინდა მოშეს სახით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რა აძლევს მას ძალას? ამის ასახსნელად გავიხსენოთ იცხაკ ავინუს სამსხვერპლოზე აყვანა. ჩვენი კვირის თავის დასაწყისში ეუბნება მოშეს გამჩენი: მე ვარ ღმერთი ავრაჰამისა, იცხაკისა და იაყაკოვისა. თუმცა, მსგავსი სიტყვები კიდევ გვხვდება თორაში როდესაც გამჩენი ამბობს: „გავიხსენებ იაყაკოვის აღთქმას, იცხაკის აღთქმას, გავიხსენებ ავრაჰამის აღთქმას, გავიხსენებ ამ მიწას.“ ამ გამოთქმაში, თუ დავაკვირდებით, უცნაურად აკლია სიტყვა — „გავიხენებ“ იცხაკთან მიმართებაში. რატომ? თუმცა აქვე ვახსენოთ ის, რასაც ყოველდღე დილის ლოცვაში ვამბობთ: გამჩენს ყოველთვის წინ უდევს იცხაკის ფერფლი, ხედავს მას და გვიბრალებს. თითქოს და იცხაკის აღთქმას არ სჭირდება გახსენება. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი შეკრავს წრედს ყველა ჩვენი დასმული კითხვისას.

გამჩენი ავალებს ავრაჰამს აიყვანოს მისი ერთად-ერთი საყვარელი შვილი იცხაკი სამსხვერპლოზე. როგორც ყველამ უკვე ვიცით, ავრაჰამი იქვე შეუდგა დავალების შესრულებას კითხვებს არ სვამს; მას ბუნებრივად უნდა ჰქონდეს კითხვა, გამჩენი ხომ შეპირდა მას გამრავლებას იცხაკისგან, მაშინ ეს როგორ თუ იცხაკი უნდა შესწიროს. ავრაჰამი ფიქრობს, მართალია ეს ჩემთვის პარადოქსალური, მაგრამ ეს კითხვა ხომ ჩემზე ადრე გამჩენს ჰქონდა, ხოდა თუ მაინც დამავალა ე.ი. პასუხიც მაქვს, თუმცა მე ვერ ვიგებ. ავრაჰამი გამჩენს ეუბნება, რადგანაც მე ჩემი შებრალება მოვითოკე, ამის მადლით შეიბრალე ჩემი შვილები მომავალში. გასაკვირია ავრაჰამმა შებრალება კი არა და კითხვა მოთოკა, მაშინ რა ხდება? თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, კითხვა აღარ აქვს ავრაჰამს, მაგრამ როგორც მამას შეეძლო ეთხოვა გამჩენისთვის შეიწყალოს იცხაკი, მაგრამ ამას არ აკეთებს.

ვისაც არ უნდა ჰკითხო, გვეტყვის, რომ ავრაამის, როგორც მამის,გამოცდილება უფრო დიდია, მან ხომ თავის შვილს ყელი უნდა გამოჭრას და მთელი ცხოვრება უნდა იცხოვროს ამ საშინელი სურათით; განსხვავებით იცხაკისაგან, რომელმაც მართალია თავი უნდა გასწიროს, მაგრამ ეს ხომ წამიერი ტკივილია. სინამდვილეში კი თუ ვიტყვით, რომ ავრაჰამის გამოცდილება უფრო დიდია იცხაკისაზე შეცდომა იქნება. რატომ? დავუკვირდეთ, ავრაჰამს ვინ ავალებს? გამჩენი თუ ასე გამჩენთან კითხვები აღარ არსებობს და ეს ავრაჰამზე უკეთ ვინ იცის. მაგრამ იცხაკი, რომელსა მამამ უთხრა სამსხვერპლოზე ასვლა და არა გამჩენმა, მას აქვს კითხვები და მერედა როგორი კითხვები: მას ვერ გამიგია, ჩემგან უნდა გამრავლდეს შენი შვილები, მაშინ რა ხდება? მამა შენ უკვე მოხუცი ხარ, ნახევრად იმ ქვეყნადა ხარ, ალბათ ვერ გაიგე სწორად რა უნდოდა შენგან გამჩენს, არ შეიძლება ასეთი რამ... თუმც წერია თორაში: „მამა, რომელმაც შვილი უნდა დაკლას, შვილი რომელიც უნდა დაკლან მიდიან ერთად სამსხვერპლოსკენ...“ იცხაკი გაჩუმდა... გაჩუმდა, დასაწყისში ჩვენ მოვიყვანეთ „ბაყალ ჰატურიმ“ რომელიც გვეუბნება „ილემ“ — დუმილი, მამები გაჩუმდნენ მოშე... იცხაკი გაჩუმდა და სწორედ მისმა გაჩუმებამ ქნა ის, რომ იცხაკის აღთქმას არ სჭირდება გამჩენთან გახსენება, მისი ფერფლი მუდამ წინ უდევს გამჩენს, ნუთუ რა იყო ეს გაჩუმება ასეთი, რომელმაც სძლია ავრაჰამის გაჩუმებასაც კი? ის იყო დუმილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იმ ჯაჭვის უწყვეტობას, რასაც ქვია მასწავლებელი და მოსწავლე, მამა და შვილი, რაბი და თალმიდი; ანუ როგორც წერია თორაში: „ისმინეთ რასაც თქვენ დაგავალებენ ბრძენები“. ეს ის მექანიზმია რომელიც განაპირობებს ჩვენი ერის უკვდავებას. იძახის იცხაკი — შვილი, მართალია ჩემი კითხვები სრულიად ლოგიკური და გამართლებულია, მაგრამ მე ვჩუმდები, რადგანაც მამა მითხრა, მე ვეთანხმები, რომ თეთრი შავია და შავი თეთრი. მამების დუმილი — ის რაც აძლევს ძალას მოშეს, როგორც შუქს სულიერებისას ებრძოლოს ფარყოს გამოაცალოს ხელებიდან ახალგაზრდობა და წაიყვანოს აღთქმულ მიწაზე; განახორციელოს შუქმა შუქის არსი, რაც ვთქვით შუქი — „ორა“ ანუ „ჰორაა“ რაც სწავლებას და გადაცემას ნიშნავს, მასწავლებლიდან მოსწავლეზე, იცხაკის მიერ ფუძე ჩადებული. შუქი რომელიც იმარჯვებს ბერძნებზე ხანუქაში, და ეს შუქია რომელიც დღემდე მოგვყვება „თორის“ სახით, თორა ამ სიტყვის ფუძეც „ორა“ — შუქია, „ჰორაა“ — სწავლებაა. და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რამბ”ანის სახელით, რომ წიგნი „შემოთ“ არის დამონების და ხსნის წიგნი, ასევე დავამატებ — მოშეს ანუ შუქის მოვლენის წიგნი. და როგორც გვასწავლიან წიგნები და გვასწავლის საბა მისლაბოდკა: ეგვიპტიდან გამოსვლა ე სარის ებრაელი ერის ცხოვრების ყველა დროის, ყველა საკითხის გადაჭრის საწყისი; და მაშინ ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან — დღევანდელი სულიერი მონობის დასასწრულისა და მაშიახის შუქის მოვლინების თავი და თავი.

რთველი ემიგრანტების მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ: „კარზე დააკაკუნეს: გავაღე კარი და ოთახში უცებ შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დატვირთული კალათი და კონვერტი გადმომცა; შემდეგ სწრაფად გაიხურა კარი და გაგვშორდა. ვერაფერი ვერ მოვისაზრე! კალათს თავი ავხსენი და შიგ აღმოჩნდა აუარებელი სურსათი, ხილი და ტკბილეულობა; შემდეგ გადავუხიე კონვერტს თავი და შიგ აღმოჩნდა ფულები (კერენსკის ფული) საკმაოდ ბევრი... პატარა ქაღალდზე, რომელიც ამ წითელ ფულებს შუა იდო ეწერა: „კეთილი მგზავრობა!“ – „ებრაელთა გადასახლების კომიტეტი“. სხვა არაფერი. სახტად დავრჩი და უნებურად პირჯვარი გადავიწერე.

ასე მიხსნა სასწაულმა და ის წმინდანი ებრაელი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. თურმე ხდება სასწაულები ჩვენს ნაწყმედილ დროშიც! ღმერთმა უშველოს მათაც, რომლებიც ამ მოხუცს ახალი ბედის საძიებელად ახალ ქვეყანაში მიჰყავთ [ჟურნალი „კავკასიონი“ 1968:94–95].

ამ დეტალით ესეისტმა თამარ პაპავამ ყველაფერი თქვა. თუ ამას დეტალი ეწოდება.

ეს იყო ბრძენი ერის კიდევ ერთი კეთილშობილური მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ათასწლოვანი ავისა და კარგის დახსომება, შეუვალი ბიბლიური მახსოვრობითა და ებრაული კეთილსინდისიერებით ყველასადმი ვალის დაბრუნება.

ამ ამონარიდის ქვეტექსტში ერთი მთავარი აზრიც იკითხება: მწერალი ქართველი ერის სახელით, კიდევ ერთხელ მდაბლად უხრის თავს ებრაელ ერს დიდი ნდობის, მადლიერებისა და ერთგულების ნიშნად.

ქუთაისში დაბადებულსა და გაზრდილ ესეისტ თამარ პაპავას კარგად ჰქონდა გათავისებული ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის განსაკუთრებული, თითქოს შეუცნობელი, მაგრამ გულით აღქმული სიახლოვის კოდის ხიბლი, რომელმაც ნამდვილი მეგობრობის საუცხოო ნიმუში მისცა მთელ მსოფლიოს.

ამ აზრის კოსტანტაციაა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიერ იოსებ ელიგულაშვილის გარდაცვალების ათი წლის თავზე, 1962 წლის ორ დეკემბერს, პარიზში გადახდილი სამოქალაქო პანაშვიდი და სამგლოვიარო სხდომა: „ათი წლის წინ ჩვენ დავკარგეთ ეს დიდი ეროვნული მოღვაწე საქართველოსი – იოსებ ელიგულაშვილი. მისი სახელი მკვიდრად არის აღბეჭდილი ჩვენი ქვეყნის ბედნიერ და უბედურ დღეთა ისტორიაში. თავისი პრაქტიკული ნიჭით, საზოგადოებრივ–პოლიტიკური მოღვაწეობით, თავდადებული შემოქმედებითი მუშაობით იგი ერთგულად ემსახურა საქართველოს სახელმწიფოებრიობას იქ, ჩვენს ქვეყანაში და აქაც, ემიგრაციის მძიმე პირობებში. მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის გათელილი უფლების აღდგენისათვის... ქართველი ერი მას არ დაივიწყებს. საქართველოს ისტორიაში მისი მოღვაწეობა შევა, როგორც ბრწყინვალე ფურცელი ქართველ ებრაელობის განუყრელი ერთობისა და თანამშრომლობისა... ვისწავლოთ მისგან ერთგულება ერისა და თავდადება სამშობლოსათვის“ [ჟურნალი „ჩვენი დროშა“ 1963:25–27].

ისტორიულად ორი ერის – ქართველებისა და ებრაელთა – საერთო ჭირ–ვარამის მიმართ ერთად დაძლევა–გატანის, მადლიერებისა და ნდობის ტრადიციების საუკეთესო მაგალითად ემიგრაციაში სხვა რომ არა, მარტო გრიგოლ ფერაძის თავდადებაც კმარა.

ემიგრაციაში ებრაელობის მიმართ ქართული ტოლერანტობის უბადლო ნიმუშია წარმოდგენილი ვარშავის სამიტროპოლიტოში დაცული ერთი დოკუმენტის მიხედვით, სადაც არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის დაპატიმრებისა და ტრაგიკული აღსასრულის შესახებ ვკითხულობთ: „გრიგოლ ფერაძის ბინაში, სადაც ჩხრეკა აწარმოეს გერმანელმა პოლიციელებმა, ბიბლიოთეკაში წიგნების უკან აღმოაჩინეს ამერიკული დოლარები და ინგლისური გირვანქა სტერლინგები, რაც თითქოს შეადგენდა ებრაელების დასახმარებელ ფონდს“ [შარაძე გ. 1993:389].

გრიგოლ ფერაძის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ არსებობს ერთი ზეპირი გადმოცემაც: „1945 წელში, აუშვიცის ბანაკს გადარჩენილი ერთი ყოფილი პატიმარი მივიდა ვარშავის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ დიონიცთან და უთხრა, რომ ის აუშვიცის ბანაკში მამა გრიგოლ ფერაძესთან ერთად იმყოფებოდა და, რომ მამა ფერაძე კამერაში წავიდა ერთი მისი თანაპატიმრის მაგივრად. ზოგიერთის ვარაუდით ეს იყო მისი ყოფილი ებრაელი მოსწავლე...“ [შარაძე გ. 1993:389].

„გრ. ფერაძე 1942 წლის 6 დეკემბერს აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. მისი გარდაცვალების რამდენიმე ვერსია არსებობს, თუმცა წმინდა გრიგოლის აღსრულების ზუსტი მიზეზი დღემდე უცნობია. ერთერთი ვერსიის თანახმად, ის გაზის კამერაში შევიდა საკუთარი სურვილით თავისი სტუდენტის, მრავალშვილიანი ებრაელი პატიმრის მაგივრად“ [სულაძე გ. 2012: 418].

რწმენამ გადაარჩინა ებრაელი ერი. 1948 წლის 14 მაისს, როცა შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო, მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელთა დიასპორამ დაბრუნება დაიწყეს აღთქმულ ქვეყანაში. 1970–იანი წლებიდან ისტორიულ სამშობლოში გაემგზავრა ქართველი ებრაელობაც.

– დამვიწყებოდეს მარჯვენა ჩემი, თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ! – გოდებად ისმოდა საუკუნეების მანძილზე ეს ხმა. და ამ ფიცმა აიყვანა სამშობლოში ებრაელობა. მათ შორის ეს ფიცი წმიდად შეინახა ქართველმა ებრაელობამაც, რომელიც 26 საუკუნე ძმურად ცხოვრობდა მასპინძლებთან ერთად.

XX საუკუნის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ამ ორი ერის ზოგიერთი ასპექტის წარმოჩენამ, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართველ და ებრაელთა ურთიერთობა და სიყვარული გუშინ და დღეს არ შექმნილა. იგი ჩვენი წინაპრების სულიერი სიახლოვის ტრადიციებიდან იღებდა სათავეს, სადაც შავით თეთრზე წერია: ებრაელს არასოდეს უღალატნია ქართველისათვის და ქართველიც თვალის ჩინივით უფრთხილდება ებრაელთა მეგობრობას. ეს ურთიერთ გატანის ფიცი არასოდეს წაიშლება.

ახალგაზრდა ისრაელელი დიპლომატები საქართველოში

2014 წლის 16 დეკემბერს ერთკვირიანი პროგრამით საქართველოში ისრაელის საელჩოს ახალგაზრდა ისრაელელი დიპლომატი კადეტები — ლი ზინგერი (28 წლის), ნიმროდ ასულინი (31 წლის) და აიელეთ ბლექი (25 წლის) ეწვივნენ. გაზეთ „მენორას“ კორესპონდენტი შეხვდა მათ საელჩოში. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

*— **როგორია სწავლების პროცესი ისრაელში და რატომ აირჩიეთ დიპლომატიური სარბიელი?***

ლი სინგერი: კონკრეტულად ამ პროგრამის სწავლება სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობს. კურსის განმავლობაში ვსწავლობთ ძალიან ბევრ სხვადასხვა საგანს, იქნება ეს უშუალოდ ოფისში, თუ მის გარეთ ტურებით. გვაწვდიან ინფორმაციას სიონიზმის, ეკონომიკური თუ კულტურის საკითხების შესახებ. გვასწავლიან საერთაშორისო დონეზე ურთიერთობებს.

აიელეთ ბლექი: უშუალოდ თვითონ პროგრამაში მიღების პროცედურაა საკმაოდ ხანგრძლივი. 2007 კანდიდატიდან ამოარჩიეს მხოლოდ 28 კადეტი. მათ გაიარეს 6-საფეხურიანი არჩევის პროცედურა იმისთვის, რომ არჩეული ყოფილიყვნენ ამ კურსზე და დაეწყოთ სწავლა.

ლი სინგერი: ჩვენი ვიზიტი საქართველოში ამ პროგრამის ნაწილია. ჩვენი სხვა კოლეგები იმყოფებიან თურქეთსა და პოლონეთში. ერთი კვირის განმავლობაში დავრჩებით საქართველოში. ამ ვიზიტის შემდეგ ამ ქვეყნებიდან ჩამოსული კადეტები შევიკრიბებით ერთად ისრაელში, გავუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას და ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა ვნახეთ და რა გამოცდილება მივიღეთ.

*— **რა იცით ქართველ ებრაელთა შესახებ ისრაელში. თუ იცნობთ საერთოდ ქართულ თემს და თუ იცით რა ღვაწლი აქვთ ისრაელის სახელმწიფოს ცხოვრებაში?***

აიელეთ ბლექი: დავიწყებ იმით, რომ საქართველოდან ასული ებრაელები ცხოვრობენ ჩვენ შორის ისრაელში. სწორედ ეს არის ისრაელის საზოგადოება, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ადამიანები ცხოვრობენ ერთად და შესაბამისად, რასაკვირველია, ისრაელის საზოგადოება მოიცავს საქართველოდან ჩასულ ებრაელებს. თითოეულ ჩვენგანს ჰყავს მეგობარი, რომელიც არის საქართველოდან, ან მათი მშობლები არიან საქართველოდან, ან ბებია, ბაბუა. რაც შეეხება იმას, თუ რა ვიცით საქართველოს შესახებ. ვიცით, რომ საქართველო არის განსაკუთრებული ქვეყანა, ძალიან საინტერესო კულტურით. ჩვენ ვიცნობთ ქართულ სამზარეულოს. ისრაელში არის ბევრი ქართული რესტორანი, სადაც შეგიძლიათ მიხვიდეთ და დააგემოვნოთ ქართული კერძები. სანამ აქ ჩამოვიდოდი, იერუსალიმში მივედით ერთ-ერთ ქართულ რესტორანში და დავაგემოვნეთ ქართული სამზარეულო, რათა თავიდანვე შეგვქმნოდა განწყობა საქართველოზე. რაც შეეხება ადამიანებს, რომლებიც ისრაელში იმყოფებიან, არიან სახელგანთქმულები და მათ იცნობენ. მაგ., კომედიანტი შალვა მიხაელი (მიხელაშვილი), რეჟისორი დოვენ ქოსაშვილი. არიან სხვა გამორჩეული ადამიანები თავიანთი საქმიანობით და მათ იცნობენ ისრაელში. აი ასეთი ინფორმაცია გვაქვს.

ნიმროდ ასულინი: მე მყავს მეგობარი, რომელმაც იქორწინა გოგონაზე, რომელიც წარმოშობით საქართველოდან გახლდათ. მათ ჰქონდათ ქართული ტრადიციული ქორწილი, მოიწვიეს მუსიკოსები საქართველოდან, იყო ქართული ტრადიციული ცეკვები. მოკლედ ძალიან საინტერესო იყო ამის ნახვა.

*— **თქვენ სამივე პირველად ბრძანდებით საქართველოში. რა შთაბეჭდილება შეგექმნათ ჩვენ ქვეყანაზე?***

აიელეთ ბლექი: ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, რომ ძალიან შორს არ წავსულვართ სახლიდან. არის ძალიან ბევრი მსგავსება ჩვენ ქვეყნებს შორის ეს იქნება კულტურული თუ ადამიანების თვალსაზრისით. რაც შეეხება თბილისის ისტორიულ ნაწილს სრულიად მოხიბლულები ვართ. კარგი იყო ისიც, რომ ისრაელისთვის დამახასიათებელი ცხელი ამინდიდან ჩამოვედით და აქ რაღაც განსხვავებული ამინდი დაგვხვდა.

ნიმროდ ასულინი: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გადატვირთული ყოველდღიური განრიგი გვაქვს, მაინც ვპოულობთ დროს იმისთვის, რომ ვისწავლოთ რაღაცა, გავიგოთ საქართველოს კულტურის, მისი ისტორიის შესახებ. დღეს მივდივართ ებრაულ მუზეუმში, რომელიც ახლახანს გაიხსნა და უფრო მეტს გავიგებთ კულტურის შესახებ, ასე ვთქვათ, ებრაული კულტურის შესახებ საქართველოში. რაც შეეხება იმას განსაკუთრებით რა დამამახსოვრდა - ეს არის ქართული სტუმართმოყვარეობა, რომლითაც აქ ხალხი გვხვდება. მაგ., გუშინ ვიყავით რესტორანში, სადაც მიმტანმა გვკითხა საიდან ხართო? და რომ გაიგო ჩვენი წარმომავლობა ძალიან თბილად მიგვიღო და ძალიან ბევრი თბილი სიტყვა გვითხრა. ეს ჩვენთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი.

ლი სინგერი: გარდა იმისა, რომ ძალიან სასიამოვნო არის ამ სტუმართმოყვარეობის შეგრძნება და ნახვა იმისა, თუ როგორ უყვართ ისრაელი საქართველოში, აღმაფრთოვანებელია ის ფაქტი, რომ ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ ყოფილან ისრაელში. გუშინ ვიყავით სინაგოგაში, სადაც ხანუკის პირველი სანთელი აინთო. იქ შევხვდით საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ეს დიდი გამოცდილება იყო ჩვენთვის. გავეცანით ებრაული თემის კულტურას, რომელიც არსებობს საქართველოში. მნიშვნელოვანი და საინტერესოა ის, რომ ჩვენი კულტურა შერწყმულია ქართულ ისტორიასთან და კულტურასთან. მე გავიხსენებ ელიოზის და სიდონიას ისტორიას და ქრისტეს კვართის ჩამოტანას საქართველოში, რომელიც ასევე დაკავშირებულია ებრაულ ოჯახთან. საინტერესო და სასიამოვნოა იმის ნახვა, როგორ მოდის პრემიერ-მინისტრი და ესწრება ხანუქის პირველი სანთლის ანთებას. ეს თვალნათლივ გვანახებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს ებრაელ და ქართველ ხალხს შორის და რამდენად ღრმა არის მისი ფესვები.

*— **თუ მოგეცათ საქართველოში დარჩენის და დიპლომატიური სარბიელის გაგრძელების საშუალება, გექნებოდათ ამის სურვილი?***

აიელეთ ბლექი: პირადად მე მორწმუნე ებრაელი ვარ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ხანუქის დღესასწაულის ასე მასშტაბურად აღნიშვნა, რომელიც ხანუკის პირველი სანთელის ანთებისას ვიხილე. ამიტომ დიდი სიამოვნებით დავბრუნდები საქართველოში. ამ ქვეყანაში ჩემ სარწმუნოებას არანაირი პრობლემა არ შეექმნება.

*— **ამ ვიზიტის ფარგლებში თუ გაქვთ დაგეგმილი შეხვედრები სამთავრობო დონეზე?***

ლი სინგერი - გვქონდა შეხვედრა ევროინტეგრაციის მინისტრთან, დავით ბაქრაძესთან. მოხიბლულნი ვართ იმით, რომ თითქმის ჩვენი ასაკის ახალგაზრდა მინისტრები და პრემიერ-მინისტრი გყავთ. ისრაელში უფრო ასაკოვანი და გამოცდილი მინისტრები არიან. ასევე შევხვდით ყოფილ ელჩს ისრაელში, ლაშა ჟვანიას, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი შეხვედრა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, რომელიც სინაგოგაში შედგა.

აიელეთ ბლექი: კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო. ყოველ შეხვედრაზე ჩანდა თუ რამდენად ღრმა არის ურთიერთობა ამ ორ ერს შორის. ეს იყო საკმაოდ თბილი, ემოციური შეგრძნება.

*— **გმადლობთ. გილოცავთ ხანუქის დღესასწაულს. გისურვებთ წარმატებებს დიპლომატიურ სარბიელზე.***

„ხამასი“ ტერორისტული ორგანიზაცია არ არის?

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ პალესტინის შეიარაღებული დაჯგუფება „ხამასი“ ამოღებული უნდა იქნას ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან. მეტიც: სასამართლომ ისიც აღნიშნა რომ ევროკავშირმა შეცდომა დაუშვა, როცა „ხამასი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა, რადგან ეს გადაწყვეტილება მასობრივი ინფორმაციების საშუალებების მიერ გავრცელებული მასალების საფუძველზე იქნაო მიღებული.

სასამართლო აცხადებს: „ხამასის“ აქციებზე გამოცხადებული სანქციები სამი თვე, მანამ სანამ სააპელაციო ვადა არ ამოიწურება, ძალაში რჩებაო. ეს კი ნიშნავს: თუ აპელაცია არ იქნა მიღებული და სამი თვის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, „ხამასს“ ხელფეხი გაეხსნება—ფინანსურად გაძლიერდება და ტერორისტულ საქმიანობასაც გააძლიერებს. ეს კი კვლავ სისხლისღვრას, აფეთქებებს ნიშნავს.

ისრაელში რამდენი ქრისტიანი ცხოვრობს?

ქრისტიანული დღესასწაულის — შობის წინა დღეებში ისრაელის სტატისტიკის ბიურომ გამოაქვეყნა მონაცემები ისრაელის ქრისტიანული თემის თაობაზე. როგორც ისრაელის ტელევიზიის მე-9 არხი გადმოსცემს, დღეს ისრაელში ცხოვრობს 170 ათასამდე ქრისტიანი. ეს არის ისრაელის მოსახლეობის 2%. ამათგან 79.4% არაბი-ქრისტიანია. დანარჩენი ქრისტიანები სხვადასხვა ერის წარმომადგენლები გახლავან — ზოგი მათგანი ისრაელში ებრაელი ეროვნების მეუღლეებს ჩამოჰყვნენ, ან დაბრუნების კანონმა მისცათ ისრაელში დასახლების უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ წინაპართაგან ვინმე ჰყავდათ ებრაელი.

ისრაელში ყველაზე ქრისტიანული ქალაქი გახლავთ ნაზარეთ, მას მოსდევენ ხაიფა და იერუსალიმი.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003